საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 13 თებერვალი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, მუხრანსკის რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 34 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 34

ღრმად მწუხარებაში მყოფი მეუღლე აგრაფინე გიორგის ასული ურუშაძისა, შვილები: ირაკლი, ჯარუჯანი და ქრისტინე შვილებით, სოლომონით და ირაკლით, სიდედრი მარიამი, ცოლის ძმა გრიშა, რძალი აგრაფინე, ბიძები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს 12 საათზე გვაქვს ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარი

არჩევან ივანეს ძე ურუშაძის

სულის მოსახსენებლათ ქ. ლანჩხუთში ნათლის მცემლის ეკლესიაში.

(ტ 1—1)

მღვდელი ისაია და ვანო ვაშაძეები ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს თებერვლის 14 ქ. ქუთაისში და აგრეთვე მღვიმევის დედათა მონასტრის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი ძმისწულის

შალიკო ვაშაძის და რძლის სონა ვაშაძის

სულის მოსახსენებლად (529—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა ტარიელის ასული, შვილები: ალექსანდრე (შურა) და ნინა (ნუშკა), ძმა დიონოსი, რძალი სოფიო სიმონის ასული, ძმისწული დათიკო და ძმის შვილი ნათელა ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 14 თებერვალს დილის 10 საათზე ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარი

კირილე მათეს ძე ხვედელიანის

სულის მოსახსენებლად. (532 1—1)

დავით კლდიაშვილის

იუბილე

ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით კვირას, თებერვლის 15-ს სახელმწიფო თეატრში შესანიშნავ ბელეტრისტის 30 წლის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის იუბილე იმართება. ზეიმის პროგრამა საბოლოოდ ასეა შემუშავებული:

1) ივ. გომართელის მოხსენება იუბილიარის შემოქმედების შესახებ,
2) მილოცვები,
3) „დარისპანის გასაჭირი" 1 მოქ. იუბილიარისა.
4) „უბედურება". წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ქართველი მსახიობნი. (6. 3—3)

ახალი წიგნი გამოვიდა ხარიტ კაკაბაძის მიერ შედგენილი

„საქართველოს მოკლე ისტორია"

ახალი სახელმძღვანელო (მე 16 საუკუნიდან 1910 წლამდის), გამოცემა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირისა.

წიგნს დართული აქვს ისტორიული რუკა, შეიცავს საშუალოზე მოზრდილ ფორმატის 228 გვერდს და ღირს ხუთი თუმანი.

თბილისში იყიდება წიგნის მაღაზიებში. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პრ.

მთავარი საწყობი: თბილისი, კოოპერატივის ქუჩა № 15, საქ. ცენტ. კოოპერ. კავშირი, ტელეფ. № 4—32. (6. 3—3)

საჭიროა ინჟინერი ან ტეხნიკი

პროვინციაში ქალაქის ინჟინრის ან ტეხნიკის თანამდებობაზე. ტეხნიკოსისათვის აუცილებელია იცოდეს პრაქტიკულად მუშაობის წარმოებისა. აუცილებელია აგრეთვე იცოდეს საწისქვილო საქმის ელექტრონული დაყენება და სადგურის შენებლობა. თხოვნების მიღება და პირადი მოლაპარაკება—საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში, პუშკინის ქ. № 3 დილის 9—3 საათამდე. (6. 3—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (6.—თ.).

გამოცდილი მასწავლებელნი

ამზადებენ

მოზრდილთა 3, 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობის მისაღებად. მიხეილის პროსპექტი № 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5, 3 ს.—7 საათ. (519 4—1)

ს. ერთაწმინდელი.

1910 წ.

სამი წიგნი:
„პოეტი—არწივი".
„პაწია ქნარი".
„შამილის ლოცვა".
1920 წ.

იბეჭდება და მალე გამოვა. (511—2—2)

მუშათა კავშირები

მუშათა პროფესიონალური კავშირები პირველად ყოვლისა ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაციებია. მათი როლი და მნიშვნელობა განისაზღვრება მათი წინააღმდეგობის უნარით კაპიტალისტების მიმართ.

ეს ასე იყო ძველი რეჟიმის დროს, ასეა ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ასეა ჩვენში, ასეა საბჭოთა რუსეთშიაც. კაპიტალი, თავის ეკონომიური ბატონობის ფორმებით სავსებით ერთნაირათ აწვება მძიმე ტვირთათ მუშათა მასას ყველა ამ ქვეყნებში.

განსხვავებულია მხოლოდ პირობები, რომლებშიაც მუშათა კლასს უხდება ბრძოლა. განსხვავებულია მეთოდები და საშუალებანი, რომლითაც მუშათა კლასს შეუძლია თავის მიზნების მიღწევა.

ამ მხრივ ჩვენი პროფესიონალური კავშირები, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან.

პირველად ყოვლისა, ეკონომიური ჩაგვრის იარაღი, პოლიტიკური აპარატი გამოცლილი აქვს ხელიდან ბურჟუაზიას, და იგი სავსებით მუშათა დემოკრატიის გამგებლობაშია. მართველობის მძლავრი იარაღი—მუშათა კლასს უდგას გვერდში და მას უჭერს მხარს.

მაგრამ ეს გარემოება შექმნილია არა მხოლოდ მუშათა კლასის საკუთარი ძალებით, არამედ მთელი დემოკრატიის ძალით, რომელშიც მუშათა მასსა მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს, თუმცა მოწინავეს და ხელმძღვანელს. ამრიგად თვით აპარატი სახელმწიფოსი იძულებულია ამ თავის ბაზას ანგარიში გაუწიოს და მუშათა იდეალი—სოციალიზმი—ე. ი. მუშათა სრული განთავისუფლება ყოველგვარ მონობისაგან—სამერმისო საკითხათ აღიაროს.

დღევანდელ პირობებში ეკონომიურ ვითარებას მან ანგარიში უნდა გაუწიოს, ისე როგორც ანგარიში უნდა გაუწიოს თვით მუშათა კლასმა.

ეს უდებს საზღვარს სახელმწიფოს აპარატის მომხრეობისას მუშათა მიმართ. ამ პოლიტიკურ ბატონობას დღევანდელ პირობებში არ შეუძლია მეტის მიცემა, ვინემ ამის ნებას აძლევს ეკონომიური ურთიერთობა და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. მაშასადამე პროფესიონალურ კავშირებს არ აქვთ მიზეზი იფიქრონ რომ ისინი დღეს უკვე სრულიად განთავისუფლებულნი არიან დაქირავებული შრომის უღლისაგან.

მაგრამ მათი მდგომარეობა უკვე იმით აადვილდება და ბრძოლის პირობები მსუბუქდება, რომ პოლიტიკური აპარატი თავის მხარეზე ჰყავთ და სხ. თავის წინააღმდეგ თვით მათი ბრძოლის ფრონტი ამ შემთხვევაში იქ ხვდება მხოლოდ ერთ ზღუდეს, ერთ საზღვარს,—ესაა ეკონომიური შესაძლებლობა.

მრეწველობის განვითარებას აქვს თავის გარდაუვალი კანონები, რომელთაც გადალახვა დაუსჯელათ არ შეიძლება. მუშათა კლასმა ჩვენში სცადა წარმოების ისეთ სფეროებში ჩარევა, მასზე ისეთი გავლენის მოპოვება, რომელიც მის ინტერესებს, საბოლოო თვალსაზრისით, თითქოს ეთანხმებოდა, მაგრამ დღევანდელი პირობების მიხედვით მხოლოდ ზიანი მოუტანა თვით მუშათა კლასისთვის. კაპიტალი დაფრთხა, და წარმოებას ჩამოსცილდა. მრეწველობა შესუსტდა, განიავდა და ფულის ბატონობის სპეკულიაციის სფეროში გადაინაცვლა.

საბედნიეროთ ეს მდგომარეობა მალე შეიგნო ჩვენმა მუშებმა და მათ თვით მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი საქმის გამოსასწორებლად.

შრომის ნაყოფიერება კვლავ აიწია, წარმოება ნორმალურ განვითარების პირობებს მიუახლოვდა. მას ყველა გზა გაეხსნა წინსვლისათვის, გარდა ერთისა—მუშათა უზომო ექსპლოატაციისა, მუშათა ფიზიკურ გადაგვარებისაკენ წაყვანისა. ამ მხრივ კაპიტალისტებს არა აქვთ დღეს შეძლება მუშათა კლასს თავის სურვილი უკარნახოს. დღემდე მხოლოდ საკუთარი შეცდომები და საერთო ანარქია იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი—მუშათა მდგომარეობის გაუარესების.

საერთო დაცემა წარმოებისა—გამოწვეული მათივე მიზეზებით—დააწვა მძიმე ტვირთათ მუშათა კლასს და არა ძლიერება ჩვენი ბურჟუაზიისა.

ამის დამიხედვით შეიცვალა, და კიდევ უნდა შეიცვალოს ბრძოლის მეთოდები მუშათა კლასისა და საშუალებანი მათი მიზნის მიღწევის.

დღეს მუშათა კლასს არ უხდება ბრძოლა ქარხანაში უფლების მოპოვებისათვის, არამედ ამ უფლების განაწილებისათვის, როგორიც ყველაზე უფრო საფუძვლიანი იქნება მისთვის.

მუშათა კლასს არ უნდა დაავიწყდეს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობაში ყველაზე უკეთესი პირობა მისი არსებობისა არის ის, როცა საწარმოვო ძალთა განვითარება რაც შეიძლება ძლიერათ ვითარდება, როცა მრეწველობა აღორძინების და გაძლიერების ეპოქას განიცდის. ამ მიზანს ემსახურებოდა წინეთ მუშათა ბრძოლა უფლებისათვის, ამით აქცევდა იგი მრეწველთა ყურადღებას და ეს მუშათა კულტურობით გაძლიერებაზე. დღეს კაპიტალისტებს მუშათა ჯამაგირებზე არ შეუძლიათ ააგონ თავის პოვების სურვილი. მაგრამ მუშათა კლასის უფლებები დემოკრატიაში, შეიძლება თვით გახდეს მათ ბორკილათ წარმოებაშიც, თუ მუშათა კლასმა თავის უფლებები სისწორით არ გამოიყენა.

ბევრი საშუალებანი, როგორიცაა გაფიცვები, ლოკაუტები და სხვ. ასეთი დამოკიდებული საშუალებანი ბრძოლისა, უნდა მეტის სიფრთხილით იქნეს ხმარებული დღეს. ამის ადგილი უნდა დაიჭიროს მხარეთა მოლაპარაკებამ, წარმოების პირობების შესწავლამ, მის განვითარების ხელის შეწყობამ და ამ განვითარების პროცესში მუშათა მდგომარეობის სისტემატიურმა გაუმჯობესებამ. აქ მუშათათვის უფრო მეტათ საჭიროა ცხოვრების ღრმა ეკონომიური შესწავლა, და გათვალისწინება, ვინემ იოლი აგიტაციით მუშების ამხედრება კაპიტალის წინააღმდეგ.

ყოველი სტატისტიკური ცნობა საქარხნო ფასისა, შემოსავალ-ზარალის პირობებისა, გათვალისწინება მსოფლიო მრეწველობის და მასთან ნაციონალურ წარმოების პირობებისა—ბევრათ უფრო ძლიერი იარაღია კლასიური ბრძოლისათვის, ვინემ მუშების გასაფიცავათ გამოყვანა და დემონსტრაციების გამართვა.

ქუჩებში დემონსტრაცია უნდა შეიცვალოს კაბინეტში დემონსტრაციით, სადაც მუშათა გამოკვლევის შედეგები იქნება გამოფენილი.

გაფიცვები უნდა შეიცვალოს სატარიფო მოლაპარაკებით, სადაც დამქირავების მაგიერ საკმარისი იქნება მეცნიერულათ დასაბუთებული დებულების წამოყენება. ამ დროს და ამ ძალით სამუშაოს შერიგებით მუშათა კავშირები დიდ საქმეს გააკეთებენ.

ერთი საერთოს—მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებლად მექანიზმის გამოყენებას, მეორე—წარმოების მცოდნე და მის მიმავალ ხელმძღვანელების გამოზრდით სოციალიზმისთვის სუბიექტურ პირობებს მოამზადებენ.

მე არ მინდა ამით ვთქვა, რომ გაფიცვები და სხვა ასეთი მეთოდები ბრძოლისა უნდა სავსებით უარყოფილ იქნეს თუმცა, არამედ მე მხოლოდ ვამბობ, რომ დღეს პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებული მეცნიერული მეთოდები და არა პირდაპირი ბრძოლის საშუალებანი. უპირატესობას ვაძლევ მე ჩვენს პირობებში პირველს და არა მეორეს.

ვიტყვი მეტსაც. რაც უფრო განმტკიცდება ჩვენში დემოკრატია და ამ დემოკრატიაში მუშათა გავლენა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემა, ყოველ მომრიგებელ კამერებს, სატარიფო პალატებს, მეცნიერულ გამოკვლევებს, სტატისტიკურ ცნობებს და მით ნაკლები ადგილი დაურჩება გაფიცვებს საბოტაჟს, და სხვა დამრღვეველ ბრძოლის იარაღებს, რომელსაც მუშათა კლასი უკიდურეს შემთხვევისათვის შეიმონახავს.

მართა ეს მშვიდობიანი ფორმა ბრძოლისა არსებითად არა ნაკლებ მწვავე იქნება, არა ნაკლებ მოითხოვს ნერვების და გონების დაძაბვას, ვინემ გაფიცვა და დემონსტრაცია გაბედულებას და სითამამეს. კულტურულათ ეს მეცნიერული მეთოდები უფრო მაღალი, უფრო ძნელია, ვინაიდან იგი მეტ განვითარებას და შეგნებას თხოულობს, იგი უფრო მაღალ საფეხურს ნიშნავს მუშათა განვითარების მსვლელობაში.

და ამიტომ მისკენ უნდა იქნეს მიპყრობილი მთავარი ყურადღება დღეს მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის მოღვაწეების და ხელმძღვანელების.

ამ იდეით უნდა გამსჭვალონ მათ მასსა, რომ უკანასკნელი გაჰყვეს მათ ამ გზაზე და შეგნებულათ შეხედოს მის ამ ასპარეზზე გადადგმულ ნაბიჯებს.

სპეციალისტების მომზადება

თანამედროვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და განსაკუთრებით მისი მეურნეობა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას. ეს კითხვა უფრო მწვავედ დადგება მაშინ, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და საზოგადოებრივი მეურნეობა უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. ჩვენში ღებულობენ ზომებს, რომ საზღვარგარეთ გაამგზავრონ მოსწავლე ახალგაზრდობა თანამედროვე ევროპიულ განათლების მისაღებად. მაგრამ სახელმწიფოს სჭირია არა მარტო დახელოვნებული ხელმძღვანელები, არამედ საშუალო ტეხნიკოსები და გაწვრთნილი ხელოსნები. საშუალო საუკუნოებში ახალგაზრდა ხელოსან-შეგირდები მოგზაურობდნენ ერთი სახელმწიფოდან მეორეში და ეცნობოდნენ თავის დარგს. ისინი აღწევდნენ უმაღლეს განვითარებას თავიანთ ცოდნაში. მხატვრობის მხრივ მათი ნაწარმოები დღესაც იწვევს აღფრთოვანებას და სიამოვნების გრძნობას.

დღევანდელ ხელოსანს სულ სხვა პირობებში უხდება ცოდნის შეძენა. უმთავრესი საქმე თანამედროვე მანქანების გაცნობაა. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების წესრიგის ცოდნას და სახელმწიფოებრივ წყობილების შეთვისებას. ჩვენს რესპუბლიკას თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ხელოსნები ძლიერ ცოტა ჰყავს. მომავალში მოთხოვნილება კი დიდი იქნება. სახელმწიფომ, და განსაკუთრებით ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, რომელნიც წარმოებაში არიან ჩაბმულნი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს. საჭიროა, ევროპაში ნელ-ნელა ახალგაზრდა ხელოსნების გაგზავნა სპეციალური ცოდნის მისაღებათ. თუ რიგიანად მოეწყო საქმე, ეს დიდ ხარჯს არ გამოიწვევს, რადგანაც გაგზავნილი პირები ევროპაშიაც იშოვნიან სამუშაოს. მათ მხოლოდ გზის ფული და სუბსიდია დასჭირდებათ.

ბ. თეკლათელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბოლშევიკები და „ბასმაჩები".

ამას წინად ფერგანიდან გადმოცემული ბოლშევიკების რადიო იუწყებოდა, რომ „ბასმაჩები" ბოლშევიკებს შეუერთდნენ.

ვინ არიან „ბასმაჩები"?

გუშინდელ „ბორბა"-ში ბ. ჩოკაევი ასე ახასიათებს ბოლშევიკების ამ ახალ მოკავშირეებს.

„ბასმაჩები" ცნობილი ყაჩაღები არიან. ფერგანის ოლქი საზოგადოთ მდიდარია ყაჩაღებით, რომელნიც თავს ესხმიან მდიდარ სოფლებს, ქალაქებს და კერძო პირთ და ძარცვავენ.

თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებში ისარგებლეს რა საერთო არეულობით ყაჩაღთა ზოგიერთი მეთაურები განთავისუფლდნენ. მოულოდნელად გამოჩნდნენ ფერგანაში ცნობილი ყაჩაღები: ერგაში, მადამინი, ხალ-ხოჯა და სხ.

ბოლშევიკების მიერ კოკანდის მთავრობის ჩამოგდების შემდეგ ამ ყაჩაღებმა დაიწყეს ბრძოლა ფერგანაში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ბოლშევიკებთან ბრძოლის დროსაც ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ ერგაში, მადამინი და ხალ-ხოჯა თავის პროფესიას, რაც სჩანს ბოლშევიკების ცნობიდან, სადაც მათ უწოდებენ „ბასმაჩებს".

ამ „ბასმაჩების" თავის წრეში მიღება ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებს თურქესტანის ბოლშევიკების თავისებურ ტრანსფორმაციას, რომელნიც ხან ფანატიზმის სამოსელში ეხვევიან, ხან კი დაბალ ხარისხის ყაჩაღებს ებღაუჭებიან.

ბაქოს გაზეთები ხელშეკრულების ვითარებაზე.

საბჭოთა რუსეთის და ესტონეთის მთავრობას შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების შესახებ ბაქოს „ისკრა" სწერს: „საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო ესტონეთისთვის მრავალი ხელსაყრელი კონცესიები მიეცა, რათა ესარგებლა უკანასკნელის რკინის გზებით და ნავთ-სადგურებით. ბოლშევიკური რადიო-ტელეგრამების გადმოცემით ესტონეთი საბჭოთა რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას ამერიკელების საშუალებით შეუდგება.

ის ეკონომიური პრივილეგიები, რომელიც მიიღო ისეთ პატარა სახელმწიფომ, როგორიც არის ესტონეთი, მოწმობს იმას, რომ საბჭოთა რუსეთი ევროპასთან და ამერიკასთან ხელშეკრულების დადების დროს, დიდი დათმობის გზას დაადგება".

„ტრუდოვოე ზნამია" სწერს: „მართალია საბჭოთა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ არც ისეთი უიმედოა, რომ მან რევოლიუციის მტრის—ანტანტის წინაშე ქედი მოიხაროს. ევროპის ეკონომიური კრიზისი იძულებულ-ყოფს ანტანტას თავი მოიხაროს ნედლი მასალით მდიდარი საბჭოთა რუსეთის წინაშე. მდიდარი პურით და ნედლი მასალით, მდიდარი შემოქმედებითი ენტუზიაზმით, რუსეთი შეიძლებს უკარნახოს ევროპას თავისი ნება სურვილები.

ამავე საკითხის შესახებ კომუნისტების გაზეთი „ნოვი მირი" სწერს: „მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ შემოიღო სავალდებულო შრომა. საბჭოთა მთავრობის მტრებმა დაიწყეს კვლავ სისინი შრომის ბეგარის შემოღების შესახებ, აღნიშნავენ, რომ ეს სავალდებულო ბეგარა სპობს ადამიანს როგორც პიროვნებას და ხდის მას მანქანად. მაგრამ განა შესაძლებელია ამ დროს პიროვნების თავისუფლებაზე ლაპარაკი, როდესაც საჭიროა ენერგიული ბრძოლა შინაურ ნგრევის და მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ? ჯერ უნდა მოვიპოვოთ უფლება არსებობისა, და შემდეგ ვილაპარაკოთ სასიამოვნო საგნებზე".

ლოიდ ჯორჯის აზრი სტამბოლის შესახებ.

„ტაიმსი" სწერს: „დარდანელის და სტამბოლის მომავალი პატრონობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინგლისის იმპერიისათვის. გადაწყვეტილია, რომ სრუტეები ოსმალებს ჩამოერთვას, მაგრამ სტამბოლის ბედი ჯერ კიდევ ქანაობს.

ასეთი აზრი ტრიალებდა, თითქოს ინდოეთის მთავრობას სურდა თურქული მპყრობელობა სრულებით მოისპო ევროპაში, მაგრამ უკანასკნელ დღეებში მთელი რიგი გამომარკვეველი პირობები გაჩნდა. წინააღმდეგ ინგლისის მინისტრთა კაბინეტის ხმების აბსოლიუტურ უმრავლესობისა პრემიერ მინისტრი ლოიდ ჯორჯი იხრება ინდოეთის ოფიციალური წრეების მხარეზე, რომლის თანახმად სტამბოლი უნდა დარჩეს ოსმალთა ხელში. რადგან ამ საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინგლისის ინტერესებისთვის, ამისთვის მოვიყვანეთ ამ საგანზე ინდოეთის ოფიციალური წრეების აზრს. („აზ").

ბათუმი

ამომრჩეველთა სიას, რომელიც გამოკრულია ქალაქის თვითმართველობაში, 5 თებერვალს კიდევ დაემატა: ქართველი—634 კაცი, სომეხი—52, რუსი—227, ებრაელი—17, ადერბეიჯანელი—3, თურქი—15, და სხ. ეროვნების 26 კაცი. სულ 5 თებერვლამდე ჩაეწერა 12,889 ამომრჩეველი.

— 4 თებერვალს მუშათა კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: პროფესიონალურ კავშირებისა და ქარხნების კომიტეტთა კონფერენციამ იმსჯელა რა საქალაქო არჩევნებში ბათუმის მუშათა მონაწილეობის მიღების შესახებ—მიიღო მხედველობაში, რომ მუშათა მონაწილეობა წარმომადგენლობითი დაწესებულებებში დღევანდელ ბურჟუაზიულ ხანაში საზოგადოთ მუშებისათვის აუცილებელი და საჭიროა, უარს ამბობს ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და მოუწოდებს მუშებს დაადგნენ ბოიკოტის გზას და ამასთან ერთად დაირაზმონ მუშათა ორგანიზაციებში შეკავშირებული ბრძოლისათვის მუშათა მოძრაობის საბოლოო იდეალების მისაღწევად. ამასთან ერთად კონფერენცია არ შეუძლია არ აღნიშნოს ის ფაქტი, რომ საარჩევნო კანონი არსებულ მთავრობის მიერ ძლიერ დამახინჯებულია. ასეთი აქტის წინააღმდეგ კონფერენცია პროტესტს აცხადებს.

ამ დადგენილების გამო „სამუსლიმანო საქართველო", სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„ვისაც მართლა აინტერესებს მუშათა მდგომარეობა და არა მუშების გამოყენება კომუნისტური ექსპერიმენტებისათვის, მათ არ შეუძლიათ თქვან, რომ მუშები არ უნდა ჩაერიონ ცხოვრების ყოველ სფეროში. ეს საზოგადოთ. კერძოთ ბათუმის მდგომარეობა ისეთია, მუშათა საქმე აქ ისეთ მდგომარეობაშია, რომ საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის არ მიღება, განზე გადგომა და ხელის დაბანა, უდიდესი დანაშაულობაა მუშათა წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშების ხმა არ იქმოდეს ისეთ დაწესებულებაში, რომელიც მოწოდებულია ქალაქის ცხოვრების ყოველი სფეროს მოსაწესრიგებლათ.

ქალაქის ფურნეებში დაწნის ფულების

დღე

რადგანაც გერმანიამ არ შეასრულა ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი, ამიტომ რეინის ოლქების ოკუპაცია განუსაზღვრელი დროით გადიდო.

ვარშავში ჩავიდა ფრანგების ბატალიონი, რომელიც საპლებისციტო ადგილებში გაიგზავნება.

მილიერანმა განაცხადა: ფრანგებს კი არ დაუპყრიათ ხირია, არამედ—მცხოვრებლებმა მოიწვიეს ფრანგები თავიანთი ინტერესების დასაცველად.

ბოლშევიკების ცნობით ლოიდ ჯორჯს განუცხადებია, რომ მოკავშირეებს არ შეუძლიათ ძველი რუსეთის აღდგენა.

მილიერანის აზრით ხმელთაშუაზე საერთაშორისო კონტროლი უნდა დაწესდეს.

მიღება 21 თებერვლამდე გაგრძელდება, რომლის შემდეგ პურს ქართულ ბონებზე გაყიდიან.

5 დღეა, რაც ბათუმში დროგამოშვებით სთოვს. 9 თებერვალს მთელი დღე შეუჩერებლად სთოვდა. ნახევარ არშინზე მეტი თოვლი დადო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

„ბერლინერ ფოლკს ცაიტუნგი" ნაციონალისტებს ჰყავ დრის, რომ ეხლა გერმანია მიჰყავთ განხეთქილებისაკენ, რომლის შედეგად შეიძლება ახალი ომის დაწყებაც შეიქნეს.

ლივანის დელეგაციის თავმჯდომარე აბდულა კაიომ ჟურნალისტებს თავისი მოგზაურობის მიზნების შესახებ შემდეგი განუცხადა: კონფერენციას უნდა წარუდგინო სამი წინადადება: 1) ლივანის დამოუკიდებლობა, 2) მისი საზღვრების გადიდება ე. ი. ლივანისათვის იმ პროვინციათა დაბრუნების შესახებ, რომელიც ოსმალებმა ჩაიგდეს ხელში, და 3) საფრანგეთის მანდატის შესახებ. ესეთი პროგრამა ყოფილი იყო შარშან ვერსალში მარონიტთა პატრიარქის მიერ, რომელიც ლივანის ეროვნული დელეგატი იყო. კლემანსომ შეპირდა მას ლივანისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, საფრანგეთის მანდატს და ლივანის საზღვრების გადიდებას იმ საზღვრებში, რომლებიც აღნიშნული იყო რუქაზე და რომელიც შედგენილი იყო საფრანგეთის მთავარი შტაბის მიერ 1860 წელში სირიის კომპანიის დამთავრების შემდეგ. რათა ეს აღთქმანი განხორციელდეს ოსმალეთთან ზავის შეკვრამდის—ლივანის ახალი დელეგაცია საფრანგეთში მოვიდა. სამშობლოს დელეგაცია პარიზიდან გაემგზავრება.

სენატის საფინანსო კომისიამ მოისმინა ფინანსთა მინისტრ მარსალის მოხსენება საერთაშორისო ფინანსიურის და კერძოთ ხაზინის მდგომარეობაზე.

„შპიცბერგენის ხელშეკრულობით არქიპელაგზე სუვერენობა მინიჭებული აქვს ნორვეგიას, მაგრამ მაღნების კონცესიებზე, ნადირობაზე და თევზაობაზე ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოთა თანასწორი უფლებიანობა გამოცხადებული.

სამშაბათს, საფრანგეთის პალატამ ზეიმი გაუმართა რაიმონდ პუანკარეს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო თავის ქვეყანას.

მილიერანი და მისი თანამშრომელი მარსალი, ფილიპ ბერტელ მოსამართლების სამინისტროს წარმომადგენელი, სამხედრო ექსპერტები, მარშალ ფოში თავის შტაბის უფროს გენერალ ვეიგანის თანხლებით და გენერალი ფრანშე დ'ესპერე, რომელიც აღმოსავლეთის ჯარების უფროსია,—ოთხშაბათ დილით ლონდონში მიემგზავრებიან. ნიტიმ ღამით შეუჩერებლივ გაიარა პარიზი და ლონდონისაკენ გაეშურა.

მილიერანმა ორშაბათს გერმანიის მთავრობას აცნობა: რადგანაც გერმანიამ არ შეასრულა ვერსალის ხელშეკრულობის ზოგი მუხლი, ამიტომ რეინის ოლქების ოკუპაცია განუსაზღვრელ დრომდის გადაიდოთ.

სამშაბათს ვარშავაში ჩავიდა ფრანგების ბატალიონი, რომელიც საპლებისციტო ადგილების დასაცველად გაიგზავნება. მთავრობა და ხალხი მათ დიდის ამბით შეეგება.

ოთხშაბათს გარეშე საქმეთა კომისიას მილიერანმა გააცნო საფრანგეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში. მან განაცხადა: ფრანგებს კი არ დაუპყრიათ ხირია, არამედ მცხოვრებლებმა მოიწვიეს მათი ინტერესების დასაცველად. რაც შეეხება კონსტანტინოპოლს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო კონტროლის დაწესება აჯობებს ოსმალებისათვის მის სრულიად წართმევასა.

ვარშავის გაზეთები იტყობინებიან: იაპონიის იმპერატორი პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარე პილსუდსკის დაპირდა პოლონეთთან თანამშრომლობას. პილსუდსკი შვეიცარიაში მივიდა დასასვენებლად.

ვარშავიდან იტყობინებიან: რადგანაც ინგლისელებმა უარი განაცხადეს ზემო სილეზიაში თავის ჯარების გაგზავნაზე, ამიტომ იქ მყოფი საფრანგეთის ჯარების რიცხვი უნდა გადიდდეს. ამგვარათ, ამ პროვინციაში იქნება მარტო საფრანგეთისა და იტალიის ჯარები.

სამშაბათს, ამ თებერვალს, საზავო ხელშეკრულობის 109—114 მუხლის თანახმათ შლეზვიგის პირველ ზონის პლებისციტი მოხდა. დაახლოვებით ხმის მიცემის უფლება (ვინც 20 წელს აღემატება) ჰქონდა 11 ათას ქალსა და კაცს.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. თებერვლის 11. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით მ. ჭ. ჯგუფის შეტაკებაა. ჩუდოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ზმიევო აიღო. ნარვის რაიონში ჩვენ მხარეზე ასი გამოქცეული გადმოვიდა. პეტროვის მიმართულებით და ოსტროვსკის რაიონში საარტილერიო სროლაა. მტერი პოლოცკს უშენდა. ოვრუჩის რაიონში მტერი მოულოდნელად თავს დაესხა ოვრუჩს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ქალაქიდან არ მიუშვა და მტერი უკან დაიხია. სტარო-კონსტანტინოვკას რაიონში დაბა პილიავაზე მტრის იერიშები მოიგერიეთ. ოლეჩის რაიონში ჩვენმა ცხენოსნებმა მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე დაბა მოიკაისთან მტრის რაზმი დაამარცხა. წამოიყვანა ტყვეები, ხელში ჩაიგდო ტყვიისმფრქვეველები.

მოსკოვი. 12 თებ. ფრონტის ღამით მთელ საბჭოთა რუსეთში გამოიწვია მუშაობის დღის გადიდება. ჯერ ცალ-ცალკე ქალაქებში გადიდეს 1—2 საათით, შემდეგ სხვა ქალაქებში. ეს ჩვეულებრივ დროით გადიქცა. ჩვენი ტრანსპორტის დაშლის გამო სხვა საშუალება არ არის საბჭოთა რუსეთის მეურნეობის აღსადგენათ. საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე განაცხადა 8 საათის სამუშაო დღე. ამ ზომას საბჭოთა რუსეთი სრულიად არ უარჰყოფს, მაგრამ რომ ჯანს მტკიცეთ ეს, აუცილებელია უნდა მუშაობა, უნდა ვიმუშაოთ რამდენიც ძალა გვაქვს, რომ საბჭოთა რუსეთის დიდი შენობა იქნეს წრთილი, ძლიერი და ყველა მშრომელისათვის გამოსადეგი იყოს. უნდა ამ ნგრევის დღეებში, ამ შავ სამუშაო დღეებში მუშებმა შეგნებულად დაანებონ 8 საათის მუშაობას თავი და იმუშაონ 10—12 საათი.

გამოქვეყნებული დეპეშები გადმოგვცემენ, რომ ეკატერინოსლავში, კიევში და პეტროგრადში, სადაც მიუღიათ თავის ზომის შემდეგ ჩვეულებრივ დასვენება, ამ ქამდე პანიკაა.

უნგრეთის სახაზო დელეგაციის თავმჯდომარე პარიზში მიიღო რომ მოკავშირეებს 60 ათასი უნგრელი ჯარისკაცი შესთავაზეს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ. რასაკვირველია, ეს ჯარი მოკავშირეების ხარჯზე იქნება. ჩეხო სლოვაკიაში სურთ შემოიღონ სიკვდილით დასჯა [illegible] უკანონოდ გაყიდვის გამო. ზოგი ჯარი აჯანყდა იმის გამო, რომ მათი გაგზავნა სურდათ [illegible].

ამერიკელები, რომლებიც ციმბირის რკ. გზით მოდიან, ვლადივოსტოკში მიდიან. ამერიკის მისიაც ხარბინში წავიდა. ლონდონი 10 თებ. თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა და რუსეთის საკითხს შეეხო. მან სთქვა, რუსეთის ძალდატანებით აღდგენა შეუძლებელია. მისი გადარჩენა მხოლოდ ვაჭრობის განახლებით შეიძლება. ევროპას ესაჭიროება ყოველივე ის, რაც რუსეთს აქვს. ინგლისში, საფრანგეთში და იტალიაში საზრდოს სიძვირეა, ცენტრალურ ევროპაში შიმშილია. რუსეთიდან კი შეიძლება პურის მიღება, როდესაც იქ ომი შესწყდებაო.

ველიკიე ლუკი, თებერვლის 9. პოლონეთში უმუშევარნი მთელ არმიას შეადგენენ. „ვარშავსკი კურიერ"-ის ცნობით წლის ბოლოს უმუშევართა რიცხვი ვარშავაში—58 ათასი იყო, ლოძში—42 ათასი, ჩენსტოხოვში—78 ათასი და კრაკოვში—7 ათასი.

მოსკოვი, 11—2. სმოლენსკი. ბელორუსეთის პარტიის გუბერნიის კონფერენციამ დაადგინა: გაძლიერონ ქარხნების საბჭოთა მეურნეობის დამკვიდრება, განამტკიცონ კავშირი ქარხანასა და სოფელს შორის და წინადადება მისცენ მუშებს აწიონ შრომის ნაყოფიერება.

სრულიად რუსეთის მშრომელ ყმაწვილობის ყრილობა 25 თებერვლისათვის გადადეს.

„ეკონომიური ცხოვრების" კორესპონდენტები მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. გერმანული მარკის ფასი სრულებით დაეცა. შვეიცარიის ბირჟაზე მარკის ფასი 9 სანტიმს უდრის. საქონლის სიმცირე გერმანიაში საგრძნობი შეიქნა.

ახალი ამბავი

◆ დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება საქართ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ ხალხთა ლიგის საქართველოს განყოფილების სხდომა დანიშნულია შაბათს, თებერვლის 14-ს სასახლეში დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის ბინაზე. კრება დაიწყება დილის 11 საათ.

◆ სომხეთის დიპლომატიური მისიის საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ ლენინის წარმომადგენლის განცხადება, რომელიც მან გაუგზავნა სომხეთის მთავრობას, არ იყო გაზეთებში სისწორით გადმოცემული. საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ ლენინმა იცნო მხოლოდ ფაქტიურად საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობები.

◆ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების მოქმედება. თანახმად სასურსათო განყოფილების სტატისტიკურ ცნობებისა, აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეების განმავლობაში მან გამოაცხო და დაარიგა 57,550 ფ. პური, 2,505 ფ. შაქარი, 16,912 ფ. დანარჩენი სურსათი, 4 500 ფ. ფქვილი. სულ—12 558 055 მან., აქედან ქალაქის დაწესებულებებს და წარმოებებს მიუღიათ 38,8 პროც. დანარჩენი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და მათ მოსამსახურეთ 34,5 პროც., ქალაქის მოსახლეობას 26,7 პროც.

◆ ხალხური გვარდიის მთავარმა შტაბმა. 6 თებერვალს თავის სხდომაზე კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების გამგის საქმიანი მოხსენების თანახმად დაადგინა: 1) მიეცეს დუშეთის საოლქო შტაბს 50 000 მან. გვარდიელთათვის კლუბის მოსაწყობად. 2) მიეცეს საგანგებო ბატალიონისა და საინჟინრო გუნდის კულტურულ განმანათლებელ სექციას 50 000 მან. სკოლისა და სამკითხველოს მოსაწყობად.

◆ ეროვნული ჰიმნი. 11 თებერვალს სახელმწიფო თეატრში შესდგა საგანგებო შეერთებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ დამფუძნებელი კრების წევრები, კომისიის წევრები, კომპოზიტორები, ხელოვანნი და მუსიკოსნი. კრებამ განიხილა ქართული ეროვნული ჰიმნის ოფიციალურად აღიარების საკითხი. ხანგრძლივი მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა ჰიმნის ოფიციალურად აღიარების საკითხი მოიხსნას და სხვა დროისათვის გადაიდოს.

◆ შეერთებულმა საორგანიზაციო კომისიამ, რომელიც შესდგება ადგილობრივ ტრამვაის, ქალაქის თვითმმართველობისა და ეროვნების მუშა მოსამსახურეთა კავშირების წარმომადგენლებისაგან,—გადასწყვიტა თებერვლის 25-ს მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნ. და ქალაქის თვითმმართველობის მუშა მოსამსახურეთა საპროფესიო ორგანიზაციების წარმომადგენლების კონფერენცია.

◆ ნავთის ვაჭართა საბჭო აცნობებს ნავთის ვაჭრებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან 6—10 მარტამდე შეიტანონ განცხადება საბჭოში ნავთის ვაჭრების თანამშრომელ ჩაირიცხვის შესახებ სათანადო საბუთებით.

პალატის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი დ. [illegible] ეხლა მთავრობის თავმჯდომარის და [illegible] იქონია მასთან შესახებ ამ საკითხისა.

სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა მსჯელობა იქონია შესახებ საქართველოს თანამედროვე ეკონომიური ვითარებისა და შეიმუშავა [illegible] მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა მან იკისროს თაოსნობა და ხელმძღვანელობა სახელმწიფო ეკონომიური ცხოვრების მოწყობისა.

ნავთის ვაჭართა საბჭოს პრეზიდიუმი ღებულობს მთხოვნელებს ოთხშაბათობით 2—3 საათ. და შაბათობით—12—1 ს. ცნობების მიღება ყოველ დღე 11—1 საათამდის.

◆ სახალხო უნივერსიტეტში. დღეს, 13 თებერვალს, ცენტრალური განყოფილების მოხდება ქართულ განყოფილებათა წარმომადგენლების და ინსტრუქტორების კრება. ვინაიდან [illegible] საკითხები [illegible] ყველანი დაესწრონ.

ლექციები წაიკითხება: 2 განყოფილებაში: 1) ს. ლოლაძე—საქართველოს ისტორია 2), ექ. ცუცხლაძე—[illegible] ჯანმრთელობაზე.

დანარჩენ განყოფილებებში ორგანიზატორთა საერთო კრების გამო ლექციები დღეს არ წაიკითხება.

◆ სახელმწიფო თეატრში. დღეს, [illegible] მონაწილეობით „ვერტერი". შაბათს, 14 თებერვალს მუშებისათვის „აბესალომ და ეთერი".

კრებები

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის სხდომა დანიშნულია 13 თებერვალს, საღამოს 7 ს.

— კვირას, 15 თებ. 12 ს. მოწვეულია არსებულ ქართველ მომღერალთა კავშირისა და ინსტრუმენტალური სექციის წევრთა საერთო კრება ქართულ სამუსიკო საზოგადოების შენობაში [illegible] ქ. № 8.

ჯანმრთელობის ქრონიკა.

ბორჯომი. შტაბის წევრი გიორგი [illegible], 16 იანვარს მძიმეთ დაჭრილი, ამ ჟამად კარგათ იმყოფება.

დავით კლდიაშვილის იუბილე

იუბილეის ცერემონიალი.

1) საღამოს 7 საათ. და 20 წ. სასტუმრო „ორიანტალი" (სადაც იუბილარისათვის დანიშნულია ბინა) იუბილარის მისაყვანათ ავტომობილით გაემგზავრება მწერალთა დელეგაცია, რომელიც საბჭოს მიერ არჩეულნი არიან მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯ. კ. მაყაშვილი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ნ. შიუკაშვილი და დასახელებული მწერალნი: შიო არაგვისპირელი და ვასილ ბარნოვი.

2) 7 ნახ. საათზე იუბილიარი მიბრძანდება სახელმწიფო თეატრში. მას კარებთან შეეგებება მწერ. კავშ. საბჭოს და საიუბილეო კომისიის წევრნი.

3) 7 ს. 45 წ. დაიწყება იგ. გომართელის მოხსენება დავ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ.

4) მოხსენების შემდეგ სცენაზე გაიმართება მწერალთა საზეიმო სხდომა, იუბილიარს სცენაზე გამოიყვანს დასახელებული ქართ. მწერლები, ამ დროს ორკესტრი შეასრულებს ეროვნულ ჰიმნს, საზეიმო სხდომას გახსნის მწერ. კავშ. თავმჯ. კ. მაყაშვილი და მიმართავს იუბილიარს ქართველ მწერალთა სახელით. შემდეგ დაიწყება მილოცვები.

5) ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები „უბედურება" და „დარისპანის გასაჭირი".

6) სახელმწიფო თეატრში ზეიმ

გერმანიის კონსტიტუცია*).

თავი მეექვსე.

გერმანიის რესპუბლიკის მართვა-გამგეობა.

მუხლი 78.

უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაზე ზრუნვა არის განსაკუთრებით რესპუბლიკის საქმე.

გერმ. შემადგენელ სახელმწიფოებს შეუძლიათ უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადება იმ საქმეებში, რომელთა მოწესრიგება მათი კანონმდებლობის უფლებაში შედის; ეს ხელშეკრულებანი საჭიროებენ გერმ. რესპუბლიკის თანხმობას.

შეთანხმებას უცხო სახელმწიფოებთან გერმ. რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის შესახებ ახდენს გერმ. რესპუბლიკა სათანადო შემადგენელ სახელმწიფოს თანხმობის შემდეგ. საზღვრების შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ რესპუბლიკის კანონით, რამდენადაც საქმე არ ეხება მარტო შესწორებას დაუსახლებელ ტერიტორიის ნაწილთა საზღვრებისას.

რათა უზრუნველყოფილ იქნას ცალ-ცალკე შემადგენელ სახელმწიფოთა ინტერესები, რომლებიც გამომდინარეობენ მათი განსაკუთრებულ ეკონომიურ დამოკიდებულებიდან ან მოსაზღვრეობიდან უცხო სახელმწიფოებთან, რესპუბლიკა—სათანადო შემადგ. სახელმწიფოებთან შეთანხმებით—დაადგენს შესაფერ და საჭირო ზომებს.

მუხლი 79.

გერმანიის რესპუბლიკის დაცვა არის რესპუბლიკის საქმე. გერმანიის ხალხის სამხედრო ორგანიზაციის საქმეებს აწესრიგებს მთლიანად რესპუბლიკის კანონი—გათვალისწინებით იმ განსაკუთრებულ თავისებურობათა, რომლებიც აქვთ შემადგენელ სახელმწიფოების მცხოვრებლებს.

მუხლი 80.

კოლონიალური ვითარება არის განსაკუთრებით მთელი რესპუბლიკის საქმე.

მუხლი 81.

გერმანიის ყველა სავაჭრო გემები შეადგენენ ერთ მთლიან სავაჭრო ფლოტს.

მუხლი 82.

გერმანია შეადგენს ერთ საბაჟო—და სავაჭრო ტერიტორიას, რომელიც შემორტყმულია საერთო საბაჟო საზღვრებით.

საბაჟო საზღვარი იგივეა, რაც საზღვარი მოსაზღვრე უცხო სახელმწიფოსთან. ზღვაზე საბაჟო საზღვარს შეადგენს ხმელეთის და რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელ კუნძულთა ნაპირები. საბაჟო საზღვრის ხაზი ზღვაზე და საერთოდ წყლებზე შეიძლება გადატანილ იყოს, რაც განსაზღვრულ და აღნუსხულ უნდა იქნას.

საბაჟო ტერიტორიაზე შემოერთება უცხო სახელმწიფოთა ოლქებისა ან მათ ნაწილებისა შეიძლება სახელმწიფო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებით.

შეიძლება განსაკუთრებული მოთხოვნილების თანახმად საბაჟო ტერიტორიიდან მისი ნაწილების გამორიცხვა. ზღვაზე მდებარე—ზოგ სხვა თავისუფალ ქალაქების გამორიცხვის გაუქმება შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის შემცვლელ სათანადო კანონით*).

გამორიცხული ნაწილები საბაჟო ტერიტორიისა შეიძლება სახელმწიფო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებით შეუერთდეს უცხო საბაჟო ოლქს.

ბუნების, მრეწველობის და ხელოვნების ყოველნაირი ნაწარმოებანი, რომელთა გადატან-გადმოტანა რესპუბლიკის შიგნით თავისუფალია, უნდა შემადგენელ სახელმწიფოების და თვითმმართველობათა საზღვრებშიაც თავისუფლად შეტანილ, გატარებულ და იქიდან გამოტანილ იქნან. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას რესპუბლიკის კანონის ძალით.

მუხლი 83.

ბაჟების და მოსახმარ საგნებზე გადასახადების საქმეს განაგებენ გერმ. რესპუბლიკის აღმასრულ. ორგანოები.

ამ ორგანოთა საშუალებით რესპუბლიკის გადასახადების გამგებლობისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას შექმნა ისეთ დაწესებულებათა, რომლებიც უზრუნველყოფენ შემადგენელ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ინტერესებს სასოფლო მეურნეობაში, ვაჭრობა-მრეწველობაში და ინდუსტრიაში.

მუხლი 84.

რესპუბლიკა კანონის თანახმად განკარგულებას ახდენს:

1) შემადგენელ სახელმწიფოთა გადასახადების სამმართველოების დაწყობის შესახებ, რამდენადაც ამას თხოულობს რესპუბლიკის გადასახადთა კანონების მთლიანი და თანაბარი ცხოვრება;

2) იმ ორგანოების შექმნის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ თვალყურის დევნება რესპუბლიკის გადასახადთა კანონების გატარებისა, აგრეთვე მათი უფლებების შესახებ;

3) შემადგენელ სახელმწიფოებთან ანგარიშების წარმოების შესახებ;

4) რესპ. გადასახადთა კანონების გატარების დროის სამმართველოთა მიერ გაწეულ ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 85.

გერმანიის რესპუბლიკის ყველა შემოსავალ გასავალი თვითეულ საანგარიშო წლისათვის აღრიცხულ უნდა იქნას და შეტანილი ბიუჯეტში.

ბიუჯეტი დაკანონებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დაწყებამდე.

გასავალი მტკიცდება საერთოდ ერთი წლისათვის; მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ის დამტკიცებულ იქნას უფრო მეტი ხნისათვის. დანარჩენში, რესპუბლიკის საბიუჯეტო კანონში დაუშვებელია ისეთი განწესებანი, რომლებიც საანგარიშო წლის იქით გადასცილდება ან რესპუბლიკის შემოსავალ გასავალს არ ეხება.

რეიხსტაგს არ შეუძლია—თუ რესპუბლიკის საბჭოს (რეიხსრატის) თანხმობა არ აქვს—ბიუჯეტის პროექტში გასავალი გადიდოს ან ახალი დააწესოს. რესპუბლიკის საბჭოს თანხმობის მაგიერ შეიძლება საკითხი მე-74 მუხლის თანახმად გადაწყდეს. *)

მუხლი 86.

რესპუბლიკის ყველა შემოსავალთა დახარჯვის და გამოყენების შესახებ ფინანსთა მინისტრი შემდეგ საანგარიშო წელში აძლევს ანგარიშს რესპ. საბჭოს და რეიხსტაგს. ანგარიშების შემოწმებას აწესრიგებს კანონი.

მუხლი 87.

კრედიტისთვის მიმართვა და ამ გზით ფულის შოვნა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებულ საჭიროების დროს და საზოგადოთ ისეთ ხარჯებისათვის, რომელთა მიზანი რაიმეს შექმნისაკენაა მიმართული.

ამ გზით ფულის შოვნა, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ თავისთავზე მისი უზრუნველყოფის მიღება, უნდა ხდებოდეს რესპუბლიკის კანონის გამოცემით მხოლოდ.

მუხლი 88.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის საქმე მხოლოდ მარტო სახელმწიფოს ეკუთვნის. საფოსტო ნიშნები (მარკები) მთლიანია მთელ გერმანიის სახელმწიფოსათვის.

გერმ. რესპუბლიკის მთავრობა—რეიხსრატთან (რესპ. საბჭოსთან) შეთანხმებით—უშვებს განკარგულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ შემოღებულ დაწესებულებათა სარგებლობის წესებს და ტარიფებს. მთავრობას შეუძლია საბჭოს თანხმობით, ამის უფლება გადასცეს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრ. მინისტრს.

რჩევით დახმარებისათვის ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და ტარიფის საქმეებში რესპუბლიკის მთავრობა—რეიხსრატის თანხმობით—აწესებს დამხმარე საბჭოს.

ხელშეკრულებებს ამ საქმეში უცხოეთთან კავშირის შესახებ სდებს მხოლოდ სახელმწიფო.

მუხლი 89.

სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს თავის საკუთრებაში მიიღოს ყველა ის რკინის გზები, რომლებიც ემსახურებიან საზოგადო მიმოსვლის საქმეს, და დააწყოს მათთვის ერთი მთლიანი მართვა-გამგეობა.

კერძო რკ. გზების შეძენის უფლება შემადგენელ სახელმწიფოების მიერ უნდა გადავიდეს გერმ. რესპუბლიკაზე—თუ კი ის ამას მოითხოვს.

მუხლი 90.

რკ. გზების გადმოსვლით გერმ. სახელმწიფოს ხელში ამ უკანასკნელზე გადმოდის ყველა უმაღლესი უფლებანი, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიმართულობასთან და საზოგადოთ რკ. გზების საქმესთან. ამ უფლებათა სივრცის საკითხს სწყვეტს უთანხმოების შემთხვევაში—სახელმწიფო სამსჯავრო.

მუხლი 91.

რესპუბლიკის მთავრობა—საბჭოს (რეიხსრატის) თანხმობით—უშვებს განკარგულებებს რკინის გზების გაყვანის, მათი წარმოების, მოგზაურობის და მიმოსვლის საკითხების მოსაწესრიგებლად. მთავრობას შეუძლია—რეიხსრატის თანხმობით—ეს უფლება გადასცეს რესპუბლიკის სათანადო მინისტრს.

მუხლი 92

გერმ. რესპუბლიკის რკ. გზები, მიუხედავად მათი ბიუჯეტის და ანგარიშების რესპუბლიკის საერთო ბიუჯეტსა და ანგარიშებში შეტანისა, წარმოადგენენ დამოუკიდებელ სამეურნეო წარმოებას, რომელიც თვითონ ფარავს თავის გასავალს ვალების გასწორებით და მისი პროცენტების გადახდით და ქმნის რკ.-გზის სარეზერვო ფონდს, რომლის სიდიდის და დახარჯვის მიზნების საკითხები მოწესრიგებულ უნდა იქნან კანონით.

მუხლი 93.

რჩევითი დახმარებისათვის რკ.-გზის მიმოსვლის და ტარიფის საქმეებში რესპუბლიკის მთავრობა—რეიხსრატის თანხმობით—აწესებს დამხმარე საბჭოებს.

მუხლი 94.

თუ სახელმწიფომ თავის მართვა-გამგეობაში მიიღო რომელიმე განსაზღვრულ ოლქის რკინის-გზები საერთო მიმოსვლის მნიშვნელობისა, მაშინ ამ ოლქის ფარგლებში ახალ—საზოგადო მიმოსვლის რკ. გზების გაყვანა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ან მისი დასტურით.

თუ საერთო გერმანიის რკ.-გზების გაყვანა ან არსებულთა გადაკეთება და შეცვლა ეხება შემადგენელ სახელმწიფოს პოლიციის მოქმედების სფეროს, რკ. გზათა სამმართველო გადაწყვეტილების მიღების წინ ამის შესახებ უნდა შეეკითხოს შემადგენელ სახელმწიფოს ადმინისტრატიულ ორგანოებს. იქ, სადაც რკ. გზები ჯერ კიდევ არ გადასულა გერმ. რესპუბლიკის მართვა-გამგეობაში, შეუძლია ამ უკანასკნელს საზოგადო მიმოსვლის და თავდაცვის ინტერესებისათვის, კანონის ძალით,—თუნდაც იმ შემადგენელ სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ, რომლის ტერიტორიაზე გზა გადის, მაგრამ მის უმაღლესი უფლებებისთვის არა ვნების მიტანით,—ისეთი, როგორიც უნდა იყოს მნიშვნელოვანი გზა, თვითონ ააგოს ან ახალს გაყვანა სხვას ვინმეს მიანდოს, მისთვის—თუ ეს საჭირო იქნება—ჩამორთმევის უფლების მინიჭებით.

რკ. გზათა თვითეული მართველობა ვალდებულია მიიღოს შეერთება სხვა რკ.-გზებისა ამ უკანასკნელთა ხარჯზე.

მუხლი 95.

რკ. გზები საზოგადო მიმოსვლისა, რომლებიც გერმ. რესპუბლიკის მართვა-გამგეობაში არ შედიან, ექვემდებარებიან მის მეთვალყურეობას.

რკ. გზები, რომლებიც ამ ზედამხედველობას ექვემდებარებიან, უნდა მოწყობილ და გამზადებულ იქნან გერმანიის რესპუბლიკაში საერთოდ მიღებულ წესების თანახმად. ისინი მოწყობილ უნდა იქნან მიმოსვლის მოთხოვნილებების თანახმად და დაცულ და შენახულ იქნან, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი წარმოების საქმე.

მგზავრთა მიმოსვლის და ბარგ-საქონლის გადატან-გადმოტანის საქმე სწარმოებს მოთხოვნილებებისა და საჭიროებათა მიხედვით.

ტარიფების გადახედვისას აღებულ

---

*) იხ. „ერთ." №№ 19, 27.

*) ეს ეხება განსაკუთრებით ე. წ. თავისუფალ ქალაქებს გერმანიისას: ჰამბურგს, ბრემენს და ლიუბეკს. ნ. ი.

*) ე. ი. თუ რეიხსტაგმა—რეს. საბჭოსთან შეუთანხმებლად—მაინც მიიღო შემოთავაზებული გადაწყვეტილება, ამ უკანასკნელს (რ. საბჭოს) რჩება პროტესტის განცხადების უფლება, რასაც მოჰყვება ჯერ რეიხსტაგისთვის გადაწყვეტილების ხელახლად დაბრუნება შესათანხმებლად, ან უკიდურეს შემთხვევაში—თუ შეთანხმება არ მოხდა—პრეზიდენტის მიერ მისი სახალხო კენჭისყრისთვის დაქვემდებარება. ნ. ი.

დასრულების შემდეგ მწერალთა კავშირის კლუბში „ქიმერიონში" იუბილიარის პატივსაცემად გაიმართება ბანკეტი.

უცხოეთი

იაპონია.

მუშათა მოძრაობა იაპონიაში. რამდენადაც იაპონიაში ფეხს იკიდებდა „მარინიზმი" და საზღვაო მიმოსვლის მნიშვნელობა იზრდებოდა,—იმდენადვე ძლიერდებოდა ტრანსპორტში მომუშავე მეზღვაური მუშების გავლენა. ერთ-ერთ დიდ საზღვაო დაწესებულების მეზღვაურებმა და ზოგ ოფიცრებმა იკისრეს მოეწყოთ საერთო კავშირი, განესაზღვრათ სამუშაო დრო და სხ. მთავრობა იძულებული იღება ანგარიში გაუწიოს მეზღვაურთა მოთხოვნილებებს; მაგ., მეზღვაურებმა მოითხოვეს, რათა მათი წარმომადგენელიც ყოფილიყო იმ დელეგაციაში, რომელსაც მთავრობა ვაშინგტონის შრომის კონფერენციაზე გზავნიდა; მთავრობა პირველად წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ იძულებული შეიქნა დაეთმო მეზღვაურებისათვის, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანასკნელნი უარს ამბობდნენ დელეგაციის წაყვანაზე.

ჩინეთი.

მონგოლეთის შეერთება ჩინეთთან. გაზ. „ტაიმსს" პეკინიდან ატყობინებენ: მონგოლებისაგან ჩინეთის მთავრობამ თხოვნა მიიღო, რომელშიაც ითხოვენ მონგოლეთის დროებით შეერთებას ჩინეთთან. ასეთ თხოვნის მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მონგოლეთი დღეს ბოლშევიზმის საშიშროების წინაშე სდგას. ჩინეთის მთავრობის დეკრეტი ჰპირდება დაიფაროს მონგოლეთი მოსალოდნელ საფრთხისაგან და ამასთანავე აღუთქვამს, რომ მონგოლებს არ წაერთმევა უფლებები და უპირატესობანი, რითაც ისინი დღემდე სარგებლობდნენ.

საფრანგეთი.

ნახშირის კრიზისი. საზოგადო სამუშაოს სამინისტროს ცნობით საფრანგეთის მოთხოვნილება ნახშირზე 40 პრ. აღემატება იმ რაოდენობას, რომლისაც შესაძლებელია შემოტანილ იქნეს უცხოეთიდან და ამოღებული საფრანგეთის საკუთარ მაღაროებიდან.

პოლონეთი.

შეთანხმება პოლონეთ უკრაინას შორის. ვარშავის გაზეთების გადმოცემით, პოლონეთისა და უკრაინას შორის შეთანხმება მოხდა, რომლითაც პოლონეთი სცნობს უკრაინის დამოუკიდებლობას, ხოლო უკრაინა ხელს იღებს აღმოსავლეთ გალიციაზე.

გერმანია.

პროფესიონალური კავშირები და პარტიები. გაზ. „ფორვერტსის" ცნობით დეკემბრის ბოლო რიცხვებში ბერლინში მოხდა გერმანიის პროფესიონალური კავშირთა ყრილობა. ყრილობაზე ორატორების უმრავლესობა იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ პროფესიონალური მოძრაობა უნდა მიმდინარეობდეს პოლიტიკურ პარტიებისაგან დამოუკიდებლად; კავშირებმა დამოუკიდებლად უნდა მიაღწიონ თავიანთ მიზანს—„სახელმწიფოს ეკონომიურად დამორჩილებას". გაკრიტიკებულ იქნა კომუნისტების ტაქტიკა, რომელიც ხელს უშლის პროფესიონალურ კავშირების მუშაობას, განსაკუთრებით საქსონიაში.

დანაშაულობათა ზრდა. სისხლის სამართლის სამმართველოს სტატისტიკური ცნობების თანახმად, ბერლინში დანაშაულობათა რიცხვი საგრძნობლად გაზრდილა. 1918 წელს დანაშაულობათა რიცხვი 25,000 უდრიდა; 1919 წ.—76,000.

აღერბეიჯანი.

ამნისტიის გარშემო. აღერბეიჯანის პარლამენტმა 9 თებერვალს განიხილა კანონ პროექტი ამნისტიის შესახებ. სოციალისტებმა შემდეგი შესწორებები შეიტანეს კანონ პროექტში: გამორიცხულ იქნეს სისხლის სამართლის დამნაშავეთა რიცხვიდან ის პირები, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობის გამო და არ იქნას გადაცემული ადმინისტრატიულად დაპატიმრებულნი გენერალ გუბერნატორისა და პოლიციის განკარგულებაზე, როგორც ამას კანონ-პროექტი გულისხმობს.

კავშირთა თავისუფლება. შრომის სამინისტრომ მთავრობაში კანონპროექტი შეიტანა, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს სამრეწველო კომიტეტებისა და პროფესიონალურ კავშირების ლეგალიზაცია.

სომხეთი.

კონსული ვენაში. სომხეთის კონსულად ვენაში დანიშნულია ზარეგ გაბრიელიანი.

მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე

სამი თვის განმავლობაში მოუთმენლათ ველოდით ას მილიონ ფუნტიან იაფ სურსათ-სანოვაგის მიღებას. დიდ იმედებს ვამყარებდით ამ ფონდის დაარსებაზე, ბევრი ჩვენგანი კი ეჭვის თვალით უყურებდა ამ საქმეს. საქმის გაჭიანურებამ ეჭვიანების რიცხვიც კი გაამრავლა. მაგრამ ბოლოს, როგორც იყო საქმე მოეგვარდა და ამ დღეებში ვეღირსეთ იაფი პურის მიღებას. მართალია რომ „იაფია" ეს პური, მაგრამ სიიაფესთან ხარისხიც შესაფერი აქვს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—არავითარი ხარისხი არა აქვს მას. „ობლის კვერი ნაცრიანიაო"—ამბობს ქართული ანდაზა. ჩვენი, მუშების პური კი ნაცრიანიც გახლდათ, ქატოიანიც და სხვა მრავალნი ამნაირი თვისებების მქონეც. როგორათ იქნება სხვა სურსათი,—თუ კი სანოვაგე დით იქნება რამე,—ჯერ ეს არ ვიცით, მაგრამ პურმა კი ჩვენი მოლოდინი სრულიად ვერ გაამართლა და ეჭვიანების მოლოდინს კი გადააჭარბა. გარდა ამისა რაოდენობაც,—ნახევარი გირვანქა სულზე,—იმდენათ მცირეა, რომ „ნიტი ფაქნამო არ ღირდაო", რომ იტყვიან, ისე გამოდის. მუშა მაინც იძულებულია მთელი დღე იმაზე ფიქრობდეს, თუ დანარჩენი ულუფა როგორ შეავსოს და მისი შრომის ფასიც ამით ნახევრდება.

ჩვენის აზრით ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული ვისაგანაც ჯერ არს, რომ „პური ჩვენი არსებისა" ხარისხით გაუმჯობესებული იქნას და ულუფაც გადიდებული — სულზე გირვანქამდი მაინც. რაც შეეხება ფასს, შესაძლებელია ხარისხის გაუმჯობესებასთან შეფარდებით ფასიც გადიდებული იქნეს. X.

თემების წარმომადგენელთა თათბირი

10 თებერვალს თფილისში ერობათა კავშირის ბინაზე გაიხსნა საქართველოს თემთა წარმომადგენლების და ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის შეერთებული თათბირი ა. შუშანაძის თავმჯდომარეობით. ყველა მაზრიდან არის თითო წარმომადგენელი. პირველ რიგში გასარჩევია მოხსენებები ადგილებიდან.

შორაპნის მაზრა. ზესტაფონის თემის წარმომადგენელი ნიკოლაძე ამბობს: თემი ჩვენში მოეწყო არსებულ საზოგადოებათა ფარგლებში. თემებში მუშაობა დაიწყო წარსული წლის დეკემბრიდან. გამგეობა ყველგან 3 კაცისაგან შესდგება. აქედან მხოლოდ თავმჯდომარე და მისი მოადგილე იღებენ ჯამაგირს. სოფლებისათვის ჩვენ დავტოვეთ ასისთავების და ოცისთავების თანამდებობანი. სოფლის კომისართა თანამდებობა გაუქმებულია. სოფლებში მუშაობს საბჭო, სანიტარო და სხვა კომისიები. მთავარი ყურადღება ექცევა გზების გაკეთებას და შეკეთებას. ამ მხრივ ნატურალი ბეგარა ხალხმა სიამოვნებით მიიღო და ბევრი რამ კეთდება. არანაკლები ყურადღება ექცევა სკოლას. აღსანიშნავია ის, რომ ხალხს გამოაქვს დადგენილებები სკოლისათვის თანხის გაღების შესახებ, როგორც ახალი სკოლის შენების, ისე არსებული შენობების შეკეთებისათვის. რაც შეეხება თემისა და სამაზრო ერობის ურთიერთობას, ჯერ-ჯერობით არ არის გამწვავებული, მაგრამ თუ არ იქნა გამორკვეული თემის უფლებრივი მდგომარეობა, ეს გამწვავება აუცილებლათ მოხდება. დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე სასურსათო საკითხი, ზოგიერთმა თემებმა აკრძალეს სურსათ სანოვაგის გატანა თემის საზღვრების გარეთ. თემს არ მიეპოვება არავითარი ბიუჯეტი, არც სახელმწიფო და არც სამაზრო გადასახადებიდან თემი არაფერს ღებულობს. თემი სცხოვრობს მხოლოდ სავაჭრო ოპერაციების საშუალებით. თემს განზრახული აქვს ბაღების, ბოსტნების და სხ. მოწყობა, მაგრამ არც მთავრობისაგან და არც სამაზრო ერობისაგან დახმარებას არ პოულობს. რაც შეეხება მოსამართლეებთან დამოკიდებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სადაოთ ხდება „აპეკუნობის" საქმე მცირეწლოვანთა „აპეკუნების" არჩევის უფლება სოფლის კრებებს ეკუთვნის, მაგრამ ამ საქმეში ერევა მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც ხშირად საქმეს სწყვეტს სოფლის და მცირე წლოვანთა ინტერესების წინააღმდეგ. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. თემის მომავალი ორგანიზაციის შესახებ მომხსენებელი ამბობს: თემის ტერიტორია არ უნდა იყოს ისე დიდი, როგორც თფილისის მაზრაშია, და არც ისე პატარა, როგორც სხვაგან, საშუალო რაოდენობა თემისა არ უნდა იყოს 10 ვერსტზე მეტი და მცხოვრებთა რიცხვი 2000—3000 მეტი. თემის და სამაზრო ერობის ურთიერთ დამოკიდებულება ისეთი უნდა იყოს, როგორიც იყო დამოკიდებულება რუსეთში სამაზრო და საგუბერნიო ერობათა დამოკიდებულობა. თემის მოქმედების კონტროლი, წარმოიდგენია, როგორც ზედამხედველობა კანონების შესრულების საქმეში. საბიუჯეტო უფლება უნდა ჰქონდეს თემს, სამაზრო ერობა კი პროცენტებს უნდა იღებდეს თემის ხარჯებიდან და გადასახადებიდან.

თელავის მაზრის თემის წარმომადგენელი ზანიჯანაშვილი: ჩვენში თემები მოეწყო მხოლოდ წარსული წლის აგვისტოში, არჩიეს ხელმძღვანელობ და 4 ინსტრუქტორი. ეს ინსტრუქტორები შემდეგ ხელმძღვანელობდნენ ბუხგალტერიას და საქმის წარმოებას თემში. მოქმედება დაიწყო სამაზრო ერობის ინსტრუქციის თანახმად. თემის მოქმედებას კონტროლს და ხელმძღვანელობას უწევს სამაზრო ერობა. ამის გამო ყველა ოქმები თემისა ეგზავნება სამაზრო ერობას და თუ 2 კვირის განმავლობაში სამაზრო ერობამ პროტესტი არ განაცხადა, მაშინ თემის დადგენილება ძალაში შედის. თემის საბიუჯეტო უფლება არ არის გამორკვეული. სამაზრო ერობის დასტურით თემი გადასახადებს იღებდა საკლავ საქონლის გაყიდვაზე, საზოგადო სასწორებზე (იარმარკაზე), უძრავ - ქონების ნასყიდობაზე, გარდა ამისა სამაზრო ერობამ დაუთმო თემს ზოგიერთი თავისი შემოსავალი ჯოგებიდან. თემის მოქმედებას არ ზღუდავს სამაზრო ერობა. თემის და სამაზრო ერობის დამოკიდებულება ხშირად მწვავდებოდა, მაგრამ ეს გამწვავება უმეტესად გაუგებრობაზე იყო აშენებული. თემებში დიდ ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ სამაზრო ერობის. თემი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლის საქმეს. ყველა დადგენილებები ამ მხრივ თემის გამგეობისა ცხოვრებაში ტარდებოდა. გზების შეკეთებას თემი დიდ ყურადღებას აქცევდა, ხალხი ერთსულოვნად ღებულობს მონაწილეობას გზების შეკეთებაში. სურსათის მხრივ ჩვენში საქმე უკეთესადაა, ვინემ სხვა მაზრებში, თითქმის ყველა თემში უნდა მოეწყოს სასურსათო მაღაზიები, საიდანაც მცხოვრებლებს უნდა მიეცეს სურსათი. თემი სასამართლოს საქმეებში არ ერევა.

მედიკოსანიტარული ნაწილისათვის თემი არაფერს ხარჯავს, მხოლოდ ტექნიკურად ხელს უწყობს ამ მხრივ სამაზრო ერობის მუშაობას.

თემის ფინანსიური მდგომარეობა უმწეოა. საჭიროა მთავრობამ თემებს მისცეს სათანადო თანხა.

თემის ტერიტორიის საშუალო რაოდენობა უდრის 7—8 ვერსს. ხშირად ერთი დიდი სოფელი შეადგენს თემს. მღვდლებთან დამოკიდებულება მცხოვრებლებისა გამწვავებულია. ერთ თემში საქმე იქამდე მივიდა, რომ სასულიერო პირს ეკლესიის გასაღები წაართვეს. თელავის მაზრაში სულ 13 თემია. თემის გამოყოფის დროს მხედველობაში იყო მიღებული ეკონომიური მოტივები. რამდენიმე სოფლებს აქვთ საერთო საბალახო, მიწა და სხვა და მათი დანაწილება არ არის სასურველი.

სიღნაღის მაზრა. (მაკურცხის თემის წარმომადგენელი ვაჩნაძე) საბჭოში 20 ხმოსანია. სხდომის დროს ხმოსანი იღებს დღიურად 100 მან. თემის ხმოსანთა შემადგენლობა არ არის სავსებით სასურველი. თემის წინააღმდეგ დიდი აგიტაცია სწარმოებდა, მაგრამ უშედეგოთ. თავიდანვე ყურადღება მივაქციეთ ადმინისტრაციის გაჯანსაღებას და შედეგებიც კარგი მივიღეთ. გადასახადების შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ სიუხვე გადასახადებისა (სხვადასხვა გადასახადები) დიდ არეულობას იწვევს. საჭიროა ერთი გადასახადი.

მიწის მიმღებ კომისიების თავმჯდომარეთა მოქმედებას არავინ კონტროლს არ უწევს. საჭიროა ამ კომისიათა კონტროლის უფლება მიენიჭოს თემებს და სამაზრო ერობებს.

სასულიერო პირებთან ხალხს მეტის მეტად ცუდი დამოკიდებულება აქვთ. მღვდლები აუარებელ ფულებს იღებენ სხვადასხვა წესის მოქმედების ასრულების დროს, შემოდის აგრეთვე საეკლესიო გადასახადები, რომლის ანგარიშს მღვდლები ჩვენ არ გვაძლევენ. შემოსავალი კი დიდია. მათი მოქმედება უკონტროლოა. ისინი თემებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ერთნაირი ნიხრი იქნას გამომუშავებული, თორემ ამ ჟამად ჯვრის წერაში მღვდელი იღებს 1000 მან. ნათლობაში 800 მან. და სხ. ღარიბ ხალხს კი ეს მძიმე ტვირთად აწვება. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ტყის მცველების (ლესნიჩების) მოქმედებას. ღარიბ [illegible] გლეხებს აძლევენ [illegible], რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ თემებს და სამაზრო ერობებს. საჭიროა კი ერობებს დაუმორჩილდეს ტყის მცველთა ინსტიტუტი ფიჩხის მოჭრის საქმეში, [illegible] ვინაიდან თემმა უკეთ იცის თუ ვის [illegible] მიეცეს ფიჩხი.

ჩვენში 26 თემია. ისინი კარგათ არიან გადამიჯნულნი. თითეულ თემში 1500 მეტი კომლი არ არის.

თემებს აუცილებლათ უნდა მიეცეს საკუთარი საბიუჯეტო უფლება, სამაზრო ერობას კი მიეცეს პროცენტები თემის შემოსავლიდან.

სასამართლოს საქმეებში ჩვენ ვერევით ხანდისხან, მაგრამ ეს გამოწვეულ იყო სასამართლოს აპარატის მოუწყობლობით, თემის უფლებრივი მდგომარეობა მეტისმეტად უსუსურია. ჩვენ ვღებულობთ კატეგორიულ წინადადებას ბრძანების კილოთი მაზრის [illegible] აგრეთვე ინსპექტორისაგან, საექციზო განყოფილებისაგან და სხვ. თემი და მაზრის ერობა კარგ განწყობილებაში არიან. თემს სოფლებში ჰყავს თავისი რწმუნებული ხმოსანი ერთი მილიციონერით.

სენაკის მაზრის წარმომადგენელი კიზირია: ჩვენს მაზრაში წვრილი ერთეულები მოეწყო არსებულ საზოგადოებათა ფარგლებში. თემების გამგეობა შესდგება 3 კაცისაგან: ერთი თავმჯდომარე, მეორე ადმინისტრატიული საქმეების გამგე და მესამე მდივანი. ამ პირთ ინახავს თემი.

თავიდანვე სამაზრო ერობის საშუალებით ყველგან მოეწყო ტელეფონები. სამაზრო ერობას და თემთა შორის კონფლიქტს ადგილი არა აქვს. რაიონებში არსებობს მილიციის უფროსი თავისი მილიციონერებით. როცა საჭირო შეიქნება თემი მიმართავს რაიონის მილიციის დახმარებას. ყველა საზოგადოებრივ საკითხებს არჩევს ხმოსანთა ყრილობა—საბჭო. საბჭო დაყოფილია სხვადასხვა კომისიებად: მიწის, საგზაო, სასკოლო, საექიმო სასანიტარო და სხვ. ყველა კომისიაში შედის ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელი ხმოსანი. სამაზრო ერობამ ორჯერ მოიწვია ყველა გამგეობების ყრილობა.

სწავლა-აღზრდის საქმეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სკოლებს ხალხი თვითონ აშენებს, მასწავლებლებს ინახავს სამაზრო ერობა. მასწავლებლებს ნიშნავს სამაზრო ერობა. გარდა ჯამაგირისა ყველა ხარჯებს სოფელი კისრულობს.

გზების და ხიდების კეთება სწარმოებს ხალხის აქტიური მონაწილეობით—ნატურალური ბეგარას ყველა იღებს. საერთო მნიშვნელობის, ხიდების და გზების კეთების ინიციატივას იღებს სამაზრო ერობა.

რაიონებში არიან სამედიცინო ექი-

უნდა იყვეს მიმართულება რკინის გზებზე თანაბარ და დაბალ ტარიფების დაწესებისა.

მუხლი 96.

ყველა რკ. გზები, ისეთებიც კი, რომლებიც საზოგადო მიმოსვლის საქმეს არ ემსახურებიან, უნდა დაექვემდებარონ ქვეყნის თავდაცვის მიზნებისთვის გამოსაყენებლად გერმ. რესპუბლიკას.

მუხლი 97.

სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მიიღოს თავის საკუთრებაში და მართვა-გამგეობაში ყველა წყალზე სავალი გზები, რომლებიც საზოგადო მიმოსვლას ემსახურებიან.

ამ გზების გერმ. სახელმწიფოს ხელში გადასვლის შემდეგ, ასეთების კიდევ მოწყობა და გაზრდება შეიძლება მხოლოდ გერმ. სახელმწიფოს მიერ ან მისი დასტურით.

მათ მართვა-გამგეობის ან ახალის მოწყობის საქმეში დაცულ უნდა იქნას—შემადგენელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით—საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ამ უკანასკნელთა კულტურისა და წყლის მეურნეობისა. ხელმძღვანელობაში უნდა მიღებულ იქნას აგრეთვე იმათი მოთხოვნილებანიც.

წყალზე სავალ გზებისა თვითეული მართველობა ვალდებულია მიიღოს შეერთება სხვა შიდა წყალზე სავალ გზებსა მათ მომწყობთა და მწარმოებელთა ხარჯზე. ასეთივე ვალდებულება უნდა არსებობდეს შიდა წყალზე სავალ გზებს და რკ. გზებს შორის კავშირის შექმნის საქმისათვისაც.

წყალზე სავალ გზების სახელმწიფოს ხელში გადასვლით ამ უკანასკნელზე გადმოდის ყველა ის უფლება, რომელიც დაკავშირებულია ჩამორთმევის და ტარიფის საქმესთან, აგრეთვე მასზე გადმოდის სანაოსნო პოლიცია. გერმ. სახელმწიფოზე უნდა გადავიდეს აგრეთვე მდინარეების მოწყობა-გამგეობის საქმეზე მომუშავე კავშირ ამხანაგობათა მოვალეობანი შესახებ ბუნებრივ, წყალსავალ გზების მოწყობისა რაინის, ვეზერის და ელბის ბასეინებში.

მუხლი 98.

წყალ სავალ გზების მოწყობის საქმეებში დასახმარებლად მათთან—რესპუბლიკის მთავრობის განწესებით და რეიხსტაგის თანხმობით—სდგება დამხმარე საბჭოები.

მუხლი 99.

ბუნებრივ წყალ სავალ გზებზე გადასახადის დაწესება შეიძლება მხოლოდ იმ წარმოებათა და დაწესებულებათათვის, რომელთა დანიშნულება მიმოსვლის გაადვილება არის. სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებებში ის არ უნდა გადასცილდეს ამათ მოწყობის და შენახვის ხარჯებს. შენახვის და მოწყობის ხარჯები იმ დაწესებულებათა, რომელთა დანიშნულებაა არა მარტო მიმოსვლის გაადვილება, არამედ სხვა მიზნებისთვის სამსახურიც, უნდა დაფარულ იქნას სანაოსნო [illegible] მხოლოდ თანაშეზომილ მონაწილეობით. ზემოაღნიშნულ ხარჯებით ჩაითვლებიან აგრეთვე ის თანხები, რომლებიც ხმარდება ვალის გასწორებას და პროცენტების გადახდას.

ზემო აბზაცში გამოთქმული წესებიც ეხება აგრეთვე იმ გადასახადებს, რომლებიც დაწესებულია ხელოვნური წყალსავალ გზების და მათ დაწესებულებებისთვის აგრეთვე ნავთსადგურებში. მიმოსვლის გადასახადის აღრიცხვის შიდა ნაოსნობის ფარგლებში შეიძლება დაედოს საფუძვლად საერთო ხარჯები რომელიმე წყალ სავალ გზისა, რომელიმე მდინარის ბასეინისა ან წყალ სავალ გზათა ქსელისა.

ეს წესები ვრცელდება აგრეთვე წყალსავალ გზებზე მავალ ტივებზე.

უცხო გემებზე და მათ ტვირთზე სხვა ან უფრო დიდი გადასახადის—ვიდრე გერმანიის გემებზე და ტვირთზე—დაწესების უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს.

გერმანიის წყალსავალ გზათა ქსელის შენახვა მოწყობის საშუალებათა გასაძლიერებლათ სახელმწიფოს შეუძლია ნაოსნობის საქმეში მონაწილეთ დააკისროს სხვა გზითაც — კანონის საშუალებით—თავისი წვლილის გაღება.

მუხლი 100.

შიდა სანაოსნო გზების მოწყობის და შენახვის ხარჯების დასაფარავად თავის წვლილის გაღება შეიძლება კანონით დაეკისროს მათაც, მდინარეებზე ზღუდეების და სათავნების გაკეთებით, სხვა რიგათაც—უფრო მიმოსვლისათვის —სარგებლობს, რამდენათ რესპუბლიკა მათ მოწყობის ხარჯებს სწევს, ან იქ რამდენიმე შემადგენელი სახელმწიფო მონაწილეობს.

მუხლი 101.

სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მიიღოს თავის საკუთრებაში და მართვა-გამგეობაში ყველა საზღვაო ნიშნები, განსაკუთრებით შუქურები, კუნძები და სასიგნალო გემები. ამის შემდეგ მათი გაკეთება დამზადება ხდება გერმ. სახელმწიფოს მიერ ან მისი დასტურით.

თავი მეშვიდე.

სამართლის წარმოება.

მუხლი 102.

მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს.

მუხლი 103.

ჩვეულებრივი საერთო წესის—სამართლის წარმოება ხდება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და შემადგენელ სახელმწიფოთა სამსაჯულოებში.

მუხლი 104.

ჩვეულებრივ სამართლის წარმოების მსაჯულები ინიშნებიან უვადოთ და თავიანთ მოვალეობას ასრულებენ სიკვდილამდე. იმათი დროებით ან ხანგრძლივად თანამდებობიდან გადაყენება, სხვაგან გადაყვანა ან სამსახურიდან განთავისუფლება მათი ნების წინააღმდეგ, შეიძლება მხოლოდ სამსაჯულოს გადაწყვეტილების ძალით და მხოლოდ იმ მიზეზებით და საბუთებით, რომლებიც კანონით არის განსაზღვრული.

კანონმდებლობას შეუძლია დაწესოს მსაჯულთათვის ხნოვანების საზღვარი, რომლის მიღწევისას ისინი სამსახურიდან თავისუფლდებიან.

ამას არ ეხება წინასწარ თანამდებობიდან გადაყენება, რომელიც მოხდება კანონის ძალით.

თუ ხდება ცვლილებანი სასამართლოთა დაწესებულებებში ან მათ ოლქებში, შემადგენელ სახელმწიფოს იუსტიციის სამმართველოს შეუძლია მოახდინოს განკარგულება მსაჯულის არა ნებაყოფლობითი გადაყვანისა სხვა სასამართლოში ან მისი განთავისუფლებისა თანამდებობისაგან, მხოლოდ სრული ჯამაგირის დატოვებით.

ეს წესები არ ეხება ნაფიც მსაჯულებს.

მუხლი 105.

განსაკუთრებული, გამონაკლისი სასამართლოები არაა დასაშვები. თავის კანონიერ მსაჯულს ყველა უნდა დაექვემდებაროს. ეს არ ეხება კანონით შემუშავებულ წესებს სამხედრო სასამართლოებისას. სამხედრო პატივის სამსაჯულოები გაუქმებულია.

მუხლი 106.

სამხედრო წესით სამართლის წარმოება გაუქმებულია გარდა ომიანობის დროისა და სამხედრო გემებზე. მომხდარ შემთხვევებისას დაწვრილებით განსაზღვრავს რესპუბლიკის კანონი.

მუხლი 107.

რესპუბლიკაში და შემადგენელ სახელმწიფოებში—კანონის თანახმად—უნდა არსებობდნენ საადმინისტრაციო სასამართლოები, რომლებიც დაიფარავენ მოქალაქეთ ადმინისტრატიულ ორგანოთა განკარგულებების და დადგენილებების წინაშე.

მუხლი 108.

კანონის მიხედვით არსდება გერმანიის რესპუბლიკის სახელმწიფო სამსაჯულო.

მეორე მთავარი ნაწილი.

გერმანელთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი.

თავი პირველი

პიროვნება

მუხლი 109.

კანონის წინაშე ყველა გერმანელი თანასწორია.

მამაკაცებს და ქალებს აქვთ ერთი და იგივე ძირითადი სახელმწიფო-სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი.

საჯარო—უფლებრივი ნაკლი და უპირატესობანი წოდებისა ან დაბადებისა გაუქმებულია. თავად-აზნაურობის წოდების ნიშანი *) ჩაითვლება გვარის ნაწილად და შემდეგში ის მინიჭებული არ უნდა იქნას.

ხარისხების მინიჭება შეიძლება მხოლოდ თანამდებობის ან პროფესიის აღსანიშნავად; აკადემიურ ხარისხებს ეს არ შეეხება.

ორდენები და წარჩინების ნიშნები სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს.

არც ერთ გერმანელმა უცხოეთის მთავრობისაგან ხარისხიანი ორდენი არ უნდა მიიღოს.

მუხლი 110.

გერმანიის რესპუბლიკაში და მის შემადგენელ სახელმწიფოებში მოქალაქობის მიღება და დაკარგვა ხდება რესპუბლიკის კანონის წესების თანახმად. შემადგენელ სახელმწიფოს თვითეული მოქალაქე არის აგრეთვე გერმ. რესპუბლიკის მოქალაქეც. ყველა გერმანელს ისეთივე უფლებანი და მოვალეობანი აქვს რესპუბლიკის თვითეულ შემადგენელ სახელმწიფოში, როგორიც თვით ამ უკანასკნელის მოქალაქეთ.

მუხლი 111.

ყოველი გერმანელი სარგებლობს მთელ რესპუბლიკაში თავისუფალ გადასვლა-გადმოსვლის უფლებით. ყველას შეუძლია გაჩერდეს და დასახლდეს იქ, სადაც უნდა, შეიძინოს მამული და ხელი მიჰყოს მრეწველობას რომელ დარგსაც უნდა. შეზღუდვა საჭიროებს რესპუბლიკის კანონს.

მუხლი 112.

ყველა გერმანელს აქვს უფლება უცხოეთში გასვლისა. გასვლა შეიძლება შეზღუდულ იქნას მხოლოდ რესპუბლიკის კანონით.

უცხოეთის მიმართ გერმანიის რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთ უფლება აქვთ—რესპუბლიკის ტერიტორიის შიგნით თუ გარედ—გერმ. რესპუბლიკის მიერ დაცულ და უზრუნველყოფილ იქნან.

არც ერთი გერმანელი არ შეიძლება გადაცემულ იქნას უცხოეთის მთავრობაზე გასასამართლებლად ან დასასჯელად.

მუხლი 113.

არ შეიძლება შეზღუდულ და ზიან მიყენებულ იქნას გერმანიის რესპუბლიკის მცხოვრებთა სხვა ენებზე მოლაპარაკე ნაწილების თავისუფალი, ეროვნული განვითარება, განსაკუთრებით დედა ენაზე მათი სწავლა-აღზრდა, აგრეთვე მათი შიდა მართველობა და სამართლის წარმოება.

მუხლი 114.

პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელია. შეზღუდვა ან წართმევა პირად თავისუფლებისა საჭირო ძალის საშუალებით დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

თავისუფლება—წართმეულ პირებს არა უგვიანეს შემდეგი დღისა უნდა ეცნობოს, რა საბუთებით და რომელ ოლქის ორგანოს მიერაა განკარგულება მათი თავისუფლების წართმევისა; დაუყონებლივ მათ საშუალება უნდა მიეცეთ ამის წინააღმდეგ თავიანთ მოსაზრებების და საბუთების წარმოყენებისა.

მუხლი 115.

ყოველ გერმანელისთვის ბინა მისი—თავშესაფარია და—ხელშეუხებელია. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კანონის მიხედვით.

მუხლი 116.

ესა თუ ის მოქმედება მაშინ შეიძლება მხოლოდ დასჯილ იქნას, თუ დასჯა კანონით განსაზღვრული იყო მოქმედების ჩადენამდე.

მუხლი 117.

წერილის, აგრეთვე ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის საიდუმლოება ხელშეუხებელია. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ რესპუბლიკის კანონით.

ყველა გერმანელს უფლება აქვს საერთო კანონების ფარგლებში თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი სიტყვით, წერით, ბეჭდვით, სურათით ან სხვა რაიმე სახით. ამ უფლების გამოყენებაში ის არ უნდა დააბრკოლოს სამსახურთან ან თანამდებობასთან დამოკიდებულებამ, და არავის არ შეუძლია მისთვის ხელის შეშლა, რადგანაც ის ამ უფლებით სარგებლობს.

ცენზურა არ არსებობს; მაგრამ კინემატოგრაფებისათვის შეიძლება კანონით გამონაკლისის წესების შექმნა. აგრეთვე დასაშვებია კანონით განსაზღვრული ზომები დაბალ ხარისხის და პორნოგრაფიულ ლიტერატურასთან საბრძოლველად და ახალგაზრდობის დასაცავად სხვადასხვა გვარ სანახაობებში.

---

*) სიტყვა „ფონ", რომელიც ახლავს გვარს და ნიშნავდა თავად აზნ. წოდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეში ფერმლებით. არსებობს მეითხლიც, შრატის შოვნა ბოლო ხანებში დიდად გაძნელდა.

რაიონებში არსებობს უფასო სადილ-მყოფელები. თემები ამ ჟამად იხდიან მხოლოდ თემის გამგეობის ფოსტის დამტარებლის და დარაჯის ხარჯებს, მეტს ჯერ არაფერს არ იხდის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხიდებზე ან სხვა ასეთ საქმეებზე ხარჯს. გადამხდელთა სამი კატეგორია არსებობს: შეძლებ, საშუალო შეძლებ და მესამე კატეგორია ნაკლებათ შეძლებ. ულარიბესი გლეხობა არაფერს იხდის. ქურდების წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული. ხალხმა ფარული კენჭის ყრით დაასახელა ქურდები და დადგენილ იქნა, რომ როგორც ძველი, ისე ახალი ნაქურდალი გადახდეს ამ პირთ. ზოგიერთ თემებში ეს ცხოვრებაში გატარდა.

მიწის განაწილება ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა. ჩვენის აზრით ამ საქმეში მიწის აზომვა მხოლოდ ტეხნიკურ მხარეს უნდა ასრულებდეს. მიწის განაწილებას კი თემები უნდა აწარმოებდნენ.

ჩვენში სოფლის ერობის დაარსების სურვილს ადგილი არ ჰქონია.

საარსებო წყარო სამაზრო ერობიდან გარდა ათასი მანეთისა არ მიგვიღია. თუ რამე დაგვჭირდება, ვადგენთ ხარჯს და ვახდევინებთ ხაზინადარებს.

სოფლური ხელის, ან სხვა რამეზე ძალით საქმის კრებებში თვით დაბეჭვდას მიმართავს ხმარით. სამაზრო ერობა ტეხნიკურ დახმარებას უწევს ამ შემთხვევაში თემებს და სოფლებს.

ფოსტა-ტელეგრაფში

(პასუხად „სახალხო საქმის“ კორესპონდენტს ბ. „ქუთათელს“).

„სახალხო საქმის“ № 746 მოთავსებული წერილის—„ვისთან გვქონდა საქმე“ ავტორი, ვინმე „ქუთათელი“, როგორც ეტყობა, მეტად გაღიზიანებულია 27 იანვარს ქუთაისის საზოგადო კრების გამოტანილ რეზოლუციის და მოწყობილა თავისი ამხანაგებით რეზოლუციის გაქარწყლება და მაშინ ამოღება რეზოლუციის ავტორის ამხ. ქელიშვილი, მაგრამ ძალიან გაუძნელდება ამ კითხვებზე კორესპონდენტს პირებით ფონს გასვლა. საქმე შემდეგში იყო:—23 იანვარს ქუთაისის რაიონული გამგეობის მიერ მოწვეული იყო საზოგადო კრება, რომელზედაც ფ. ტ. კონფერენციიდან დაბრუნებულ დელეგატებს უნდა მოეხდინათ მოხსენება, კონფერენციის მუშაობის შესახებ. სამწუხაროთ, გარდა ქელიშვილისა არც მესხი და არც ლოსაბერიძე (ორივე ესფერი) კრებაზე არ გამოცხადდნენ. უკანასკნელი, როგორც განაცხადა ნიკოლაძემ (ესფერი) მთვრალი წოლილა იმ საღამოს სახლში. ქელიშვილმა ამ კრებაზე განაცხადა, რომ ასეთი ყოფაქცევა დელეგატების მხრივ ყოვლად შეუწყნარებელია, არავითარი იურიდიული და ზნეობრივი საბუთი არ შეიძლება ჰქონდეთ მათ თავის გასამართლებლათ, და არც მე შემიძლია გავაკეთო მოხსენება, თუ კრება დადგენით არ მოითხოვს, რადგან ლოსაბერიძისგან და მესხისგან ასეთი დავალება არ მაქვსო. ქელიშვილის ასეთმა განცხადებამ დააფრთხო ფედერალისტები, ალბათ იმიტომ, რომ კრებაზე უმცირესობაში იყვნენ და მოითხოვეს კრების გადადება. ჩვენც დავეთანხმეთ მათ მოთხოვნას, რადგან გვინდოდა მტყუანს კარამდე მივყოლოდით. 27 იანვარს, ხელმეორეთ იქნა მოწვეული საზოგადო კრება. ბ. ლოსაბერიძემ უარი განაცხადა მოხსენების გაკეთებაზე და მიანდო ქელიშვილს. ქელიშვილმაც გააკეთა მოხსენება, შეეხო მოკლეთ კონფერენციის მუშაობას, გაურკვია კრებას ყველა ის რეზოლუციები, რომლებიც იყო გამოტანილი კონფერენციაზე. შემდეგ ქელიშვილისა, ლოსაბერიძეც შეეხო მოკლეთ კონფერენციის მუშაობას და მათ მოხსენებებში თითქმის არავითარი განსხვავება არ იყო, რაც აღნიშნა მ. ჩიკვაიძემ (ესფერი) თავის სიტყვაში. და არ ვიცი, თუ საიდან მოიგონა ქუთათელმა „ერთმანეთი კბილებით დაიჭამესო“. შემდეგ ბ. ქუთათელი ამბობს, რომ დელეგატები აღთქმას იძლეოდენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოვითხოვთო.

არავითარი აღთქმა არც ერთ დელეგატს არავისთვის არ მიუცია. პირიქით, როდესაც ამხ. ქელიშვილმა გამგეობის ხელმძღვანელობით მოითხოვა საზოგადო კრების დანიშვნა, დირექტივების შესამუშავებლად, ფედერალისტებმა ერთხმად უარი განაცხადეს ისე კი თავის თავად ცხადია, რომ მატერიალურ საკითხზე უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი, რადგან კონფერენციას მხოლოდ ეს ერთი საკითხი ჰქონდა დღის წესრიგში. ნუ თუ ისიც არ იცის ბ. ქუთათელმა, რომ, როდესაც ამხ. ქელიშვილი მოითხოვდა კონფერენციის მოწვევას, მაშინ არავითარი ცნობა არ იყო 60 პროც. მომატების შესახებ და, თუ ამბობდა ქელიშვილი, რომ ცენტრალური გამგეობის მიერ წარდგენილი ჯამაგირები მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს, ამბობდა იმიტომ, რომ მან და ჩვენც კარგად ვიცოდით, რომ ცენტრალური გამგეობის პროექტები ვერ მიაღწევდენ; რადგან ისინი გვერდს უვლიდენ ისეთ დემოკრატიულ ორგანიზაციებს, როგორც არის სატარიფო პალატა და პროფესიულ კავშირების ცენტრი. შემდეგ ბ. ქუთათელი ამბობს, ვითომც ქელიშვილის დამქაშებმა გააჭიანურეს კრება, ხალხს ზურგი შეექცია მისი მოხსენებისათვის და დარჩენილიყოს 39 სოც. დემ. ეს ჭკუამახვილი მართლაც რომ ამ საზოგადო კრებაზე ყოფილიყო მას არ დაავიწყდებოდა ქელიშვილის არა ერთი მოთხოვნა კამათის შეწყვეტაზე; მას ისიც ეცოდინება, რომ ქელიშვილმა მოხსენების გაკეთების დროს ილაპარაკა 40 წუთი და კრება გააჭიანურა ჩიკვაიძემ (ესფერი), რომელმაც დაიწყო ძველი „ზაკცეკომიდან“ და 20 წუთი ილაპარაკა ვინმე გაჩეჩილაძეზე, როგორც ძველი „ზაკცეკოპის“ წევრზე, ამ ჭკუამახვილს ისიც ეცოდინება, რომ კენჭის ყრის დროს იყო 60 კაცი და არა 39; რეზოლუციას ხმა მისცა 45 კაცმა, მათ შორის ფედერალისტებმაც, და წინააღმდეგი იყო 15 კაცი. და ტყუილა გონია მას, რომ ამ რეზოლუციას ანგარიშს არ გაუწევენ და, თუ ეწინააღმდეგება ცენტრ. გამგეობა მას მართლაც არ გაუწევს ანგარიშს, ახეთ რეზოლუციებით შემდეგშიც არ მოვასვენებთ და როდესაც თფილისის, ფოთის და ქუთაისის მოსამსახურეები მას უნდობლობას უცხადებენ, ნეტავ ვიღასი ნდობით იქნება აღჭურვილი? ბ. „ქუთათელი“ ყველაზე მეტად გაუჯავრებია რეზოლუციის იმ ნაწილს, სადაც მოვითხოვთ პარიტეტულ კომისიის შედგენას, სადაც უნდა შევიდნენ 6 სოც. დემ. და 4 სოც. ფედ., არა ცენტრალური გამგეობის წევრები. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ეს ფედერალისტებს არ გაუხარდებოდათ, ისიც ვიცოდით, თუ რას ნიშნავს სიტყვა „პარიტეტი“ და იმიტომ ჩამოვთვალეთ რიცხვი, რომ ფედერალისტებისათვის გარკვეული ყოფილიყო და არ გვეწყინებოდათ, რომ კომისიაში მათ არ ექნებოდათ ისეთივე წარმომადგენლობა, როგორც სოც. დემ. ისიც ვიცოდით ჩვენ, რომ ფედერალისტები წესდებაზე მიგვითითებდენ, მაგრამ მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ხალხის ხმა უფრო ძლიერი ყოფილა წესდებისა და თუ მისი გამოცვლა მოვინდომეთ ყრილობის მოუწვევლათ, ეს იმიტომ, რომ ავიცილებინოთ ზედმეტი ხარჯები, რომელსაც იწვევს ყრილობები და კონფერენციები და ერთი გვერდით დარწმუნებული იმაშიც, რომ ეს კომისია უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე ისეთი კონფერენცია და ყრილობა, როგორიც იყო მოწვეული უკანასკნელათ. ამას გარდა, ბ. „ქუთათელო“, არ შეგვიძლია, რომ თქვენი სახით წარმოვიდგინოთ ფედერალისტები, რადგან ეს პარტია არასდროს არ გვინახავს ისეთი მახინჯი სახით, როგორათაც გვიდგებით თქვენ, ჩვენ გვეშინია და მართლაც კარგს იზამენ თქვენი უფროსი მასწავლებლები, რომ თქვენისთანა ფუქსავატ ავანტიურისტებს, რომლებიც გამოდიან ფედერალისტების სახელით, დაარიგებენ მოაცილებენ, თორემ თქვენ თვითონ სცემთ თქვენი პარტიის პრესტიჟს. ჩვენ კი ხელმძღვანელებს არ გვესაჭიროება არავითარი დარიგება. თქვენში რომ მართლაც ოდნავ იყოს დარჩენილი სინდისის ნატამალი, განა შეიძლება ჩვენ გვეკითხოთ ნოტო კავშირის დარღვევა, რომლისაც თავადვე ამის მიზეზი თქვენ ხართ და თქვენმა მუშაობამ ცენტრ. გამგეობაში ხალხს სრულიად შეიძლება პროფესიონალური კავშირი და მართლაც, თუ თქვენგან მალე არ განთავისუფლდა ჩვენი კავშირი, იგი დაირღვევა. —ტო.

ს.-დ. პარტიაში

ქ. ხონი. 27 იანვარს შესდგა ხონის რაიონის პარტიული კრება, რომელსაც დაესწრო ს ქართველი სოც. დემ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი ნ. რამიშვილი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. ხურომე, მდივნათ ნ. შაფორიძე. თავმჯდომარე კრების გახსნისას აღნიშნავს, რომ ხონის რაიონში პარტიული ორგანიზაციები ყველგან ლიკვიდირებული და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ყველა საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებში: ქალაქის თვითმართველობაში, თემებში, კოოპერატივებში, გვარდიაში და სხვ. უმრავლესობა ჩვენი ამხანაგებია. საწევრო ფული წესიერათ იკრიბება.

შემდეგ ნ. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება ჩვენი პარტიის მოღვაწეობის და მიმდინარე მომენტის შესახებ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ჩვენი პარტიის მოღვაწეობას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში, ხაზი გაუსვა ჩვენი პოლიტიკის მთავარ დებულებას—დემოკრატიზმი—სოციალიზმისაკენ და შეადარა ნაყოფი შედეგები ჩვენი და ბოლშევიკების პოლიტიკისა. მომხსენებელი აგრეთვე ვრცლად ეხება იმას, თუ რა გააკეთა შინით, სახელმწიფოში და ამბობს:

ჩვენ გვაქვს 1871 წლის პარიზის კომუნასავით საყოველთაო საარჩევნო წესით არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც საქართველოში მშრომელთა ბატონობის გამომხატველია, და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ბოლშევიკებმა კი მოწვეული მთელი რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. შევქმენით სახალხო გვარდია და ჯარი, დავაკანონეთ და კიდევაც გავატარეთ ცხოვრებაში 8 საათის სამუშაო დღე იმ დროს, როდესაც ბოლშევიკებს რუსეთში 10 საათის სამუშაო დღე აქვთ; გავატარეთ მიწის რეფორმა; რუსეთში კი მიწის დატაცება მოხდა, მაგრამ ფაქტიურათ მიწა შეძლებულ გლეხობის ხელშია და არავითარი წესრიგი არ არსებობს; შემოვიღეთ ერობა, საყოველთაო უფასო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა-განათლება, განზრახულია სკოლის გარეშე სწავლა-განათლების საქმის მოწყობა დიდებისათვის, არჩეული ყველგან მოსამართლეები, გაყვანილია ყველა მნიშვნელოვან ადგილებში ტელეფონი და ტელეგრაფი, ყველგან წესიერება სუფევს, წესიერათ მოძრაობს რკინის გზა და სხვ.

და ყველა ეს განვახორციელეთ არა სამოქალაქო ომით, არამედ დემოკრატიზმის გამაგრებით. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა იცნო ჯერ მუშათა ინტერნაციონალმა და შემდეგ კი იმპერიალისტებიც იძულებულნი გახდნენ დაედასტურებინათ ჩვენი სამართლიანი უფლება დამოუკიდებლობაზე.

რა ხდება ჩვენი ასეთი მუშაობის დროს დასავლეთ ევროპაში?

განვლილმა მსოფლიო ომმა ყველაფერი განადგურა და შეარყია ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძველი. გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ომის შემდეგ იწყება ბრძოლა სოციალიზმის დასამყარებლად და ყველ სამ.გროთ სახალხებთ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რის შესახებაც კ. კაუცკი ამბობს: „მსოფლიო ომი მოიწვევს დასასრულს კაპიტალისტურ წესწყობილებისა და დასაწყისს სოციალისტური წესწყობილებისაო“. (ამ დებულებას ასაბუთებს მომხსენებელი სხვა მრავალი აზრებითაც) და ბოლოს მოუწოდებს ამხანაგებს პარტიული მუშაობისაკენ.

დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „საერთაშორისო ომმა ძირიანათ შეარყია ბურჟუაზიის ბატონობა. დღეს აშკარაა, რომ ჩვენ განვიცდით ხანას კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური გარდაქმნის დასაწყისს. ვინაიდან რა ამ დებულებას, საფუძვლიანი გზით სოციალიზმის განხორციელებისათვის მივიჩნევთ დემოკრატიულ გზას და არა იმ, რომელიც აირჩიეს ბოლშევიკებმა. X.

მუშათა შორის

თელავის მაზრაში მუშათა კლასი დღემდის არ იყო შეკავშირებული პროფ. ორგანიზაციებში. დღეს კი ყველა დაწესებულებებში მუშა მოსამსახურეთა ბანაკი დარაზმა, შეკავშირდა პროფ. კავშირებში. გასულ წლის დეკემბერში მოხდა ყრილობა კავშირების წევრთა რწმუნებულებისა, (20 კავშირის წევრზე თითო რწმუნებული), რომელზედაც არჩეულ იქნა მაზრის პროფესიონალური კავშირების საბჭო 13 პირისაგან. საბჭომ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი ხუთი პირისაგან. თავმჯდომარე ვლასი ლუკას ძე მამალაძე, ამხანაგი ვარლამ ფერაძე მდივანი ი. ყარაულაშვილი, ხაზინადარი ნიკო ფარეიშვილი და ა. გაჩეჩილაძე მუშათა კლუბის გამგეობამ დაუთმო საბჭოს ბინა თავის შენობაში. აღმ. კომიტეტმა მოიწვია მდივნათ ალ. წერეთელი. აღმ. კომიტეტი კავშირების წევრთა გასათვით ცნობიერების გზებს პროპაგანდისტებს მაზრაში, რომლებიც აკეთებენ მოხსენებებს თანამედროვე მომენტზე რადგანაც სოფლის თელავის მაზრაში უკანასკნელ ხანებში გადაჭარბებით ძვირიანობა თბილისთან, აღმ. კომიტეტმა საბჭოს დადგენილებით განიზრახა დაარსოს თელავში კოოპერატივი „კახეთის მუშა“, რომლის წევრად შესვლის ძალით შეუძლია იყოს მხოლოდ პროფ. კავშირის წევრს. სახადო გადასახადი დაწესებულია 50 მ. საწევრო შესატანელი კი 5 მან. გარდა ამისა, თვითეული კავშირის წევრისთვის სავალდებულოა ორი პაის შეტანა—სულ საწევრო გადასახადით წევრი იხდის 105 მ. თითქმის ყველა კავშირების წევრთაგან შემოვიდა საპაიო. გარდა ამისა აღმ. კომიტეტმა მიმართა დაწესებულებებს ექვსთვიანი ზეპროცენტო სესხის შესახებ. ზოგი დაწესებულება უარზეა უფულობის გამო, უმრავლესობამ კი შეიწყნარა. ამ დღეებში თბილისში იგზავნება საბჭოს მიერ ქალაქი სურსათის გამოსატანად მომარაგების სამინისტროსაგან და აგრეთვე კოოპერატივთა კავშირისაგან. საბჭო დარწმუნებულია, რომ მომარაგების სამინისტრო მოაწვდის მას საჭირო სურსათს.

მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირები თელავის მაზრაში ძლიერ მცირეა მაშინ, როდესაც სიძვირე აქ სხვა მაზრებზე უფრო დიდია. თვიური ჯამაგირის მინიმუმი აქ არის 1000 მანეთი, მაქსიმუმი კი 3 000 მანეთი. არის კავშირები, სადაც 40 პროცენტ. მომატება არ მიუღიათ, ეხლა 60 პროცენტ. მომატებაზე დაწესებულებები და დამქირავებლები უარზე არიან. საზოგადოდ ის მოჰყავთ, რომ სატარიფო პალატის სესსია ჯერ არ მოსულა აქ და ტარიფები არ დაუწესებიათ ამას. კომიტეტი დეპეშებს გზავნის სატარიფო პალატაში თელავის მაზრაში გამომგზავრების შესახებ, მაგრამ ვერავითარ პასუხს ვერ ღებულობთ.

კახეთის სახელმწიფო მამულის მუშები ძლიერ შევიწროებას განიცდიან ზოგიერთ გამგეთაგან. უფრო უკმაყოფილონი არიან წინანდლის მამულის გამგეთ. საჭიროა მიწათმოქმედების სამინისტროსაგან დაინიშნოს რევიზია უკმაყოფილების მიზეზის გამოსარკვევათ.

ხტუმარი.

— —

თფილისი. 3 თებერვალს შესდგა მრავალრიცხოვანი საზოგადო კრება სადგ. თფილისის მეურნეთა, კონდუქტორთა, საბარგო საწყობის და ლიანდაგის მუშა-მოსამსახურეთა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. აბესაძე, მდივნათ ნიკოლაიშვილი. დღის წესრიგში იყო: 1) 60 პროც. მომატება, 2) 8 საათი სამუშაოს გატარება.

კრებამ ერთხმად დაადგინა: 1) სისრულეში იქნას მოყვანილი არა უგვიანეს ამა თებერვლისა სატარიფო პალატის დადგენილება 60 პროც. მომატების შესახებ. 2) რვა საათის გატარების შესახებ მიღებული იქნა ერთხმად ამხ. ჩე[illegible] წინადადება. კრება მოითხოვს, რომ მიეცეს ზედმეტი საათები დამატებით და კვირა უქმე დღეების ნამუშევარი ორმაგი ფასით. ეს უნდა გატარებულ იქნას ცხოვრებაში 1 მარტამდე.

კრების თავმჯდომარე აბესაძე.
მდივანი ნიკოლაიშვილი.

— —

თფილისის საქონლის სადგური. შესდგა ახლად არჩეულ კავშირების წევრების სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) აღმასრულებელი კავშირის თავმჯდომარის არჩევა, 2) კავშირის მუდმივი მდივნის არჩევა, 3) კრების დღის დანიშვნა და ოქმების სასურველ წიგნებზე დაყენება. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ამხ. დიმიტრი ლეკიაშვილი. მის ამხანაგათ სიმონ ასათიანი, მუდმივ მდივნათ ლავრენტი წერეთელი. დაადგინეს კრებები იმართებოდეს კვირაში ერთხელ, პარასკეობით. დასასრულ გაარჩიეს მიმდინარე ორგანიზაციული საკითხები.

ქრისტეფორეშვილი.

პროვინცია

მუხრანი (ტფ. მაზრა). მაზრაში დარბეულ ყაჩაღების ბრბოს თანდათან მოკლება უყვება. ამ ათი დღის წინათ გვარდიელებმა ეწვიეს მიწაჩნევს სოფ. ჩორდაზე, სადაც ლამე უნდა გადიოდა ყაჩაღთა ბრბოების ხელმძღვანელს მელაძეს თავის ამხანაგებით (მელაძე თვითონ ჩორდელია). გვარდიელებმა შესაფერი ზომები მიიღეს, მაგრამ, სამწუხაროთ, მელაძე ჩაუსხეს ხელში სწვევია. გვარდიელებმა ჩვეულებრივი ენერგიით განაგრძეს სხვა სოფლებში მათი ძებნა, ბოლოს გამოირკვა, რომ მელაძეს თავის რამოდენიმე ამხანაგით ჰქონია ბინა ხევში—სამხედრო გზასთან, დაახლოვებით 4 ვერსის მანძილზე მცხეთიდან. ამ ცნობის მიღებისთანავე გვარდიელები სასწრაფოთ გაემგზავრნენ აღნიშნულ ადგილისაკენ, გზაში მათ შეხვდათ მცხეთის მილიციონერები, რომლებთაც სურვილი გამოუცხადებიათ დახმარება-თანაწარმოებისა მიეღოთ, რაზედაც გვარდიელები დასთანხმდნენ. როდესაც აღნიშნულ ალაგს მოადგნენ, მილიციონერებმა მეორე მხრით შემოიარეს ხევი და გვარდიელებმა [illegible] ბინა, რომელშიც ცეცხლი ენთო და [illegible] ყაჩაღები ლამის ძილში მიცემულნი. მილიციონერებმა მეტის სიჩქარით მოახდინეს დაჭერა და გვარდიელებთან შეათანხმეს, ხელში მიეცათ ბინისათვის. თავზარდაცემულ მელაძეს ამხანაგებით, რომ თავი სიკვდილისაგან დაიხსნა, [illegible] გაქცეულან. ბინაში დაუტოვებიათ ერთი პარაბელუმი, სამი კარაბინი, ნაბადი, შინელები, გაქცეულთა [illegible] გვარდია, მაგრამ [illegible].

ამ ხუთი დღის წინათ სოფ. ხვითში დაატუსაღეს იმავე გვარდიელებმა გაქცეული მელაძე ერთი თავისი ამხანაგით. მელაძე კარგათ ცნობილი იყო სხვა მაზრებშიდაც, როგორც მოთავე და ხელმძღვანელი ყოველ გვარ მაზრაში მომხდარ ყაჩაღურ გამოსვლებისა. დიდი მამაცობა გამოიჩინა ბრბოების ძებნაში და მის მოსპობაში, მუხრანის გვარდიამ, და შტაბის თავმჯდომარემ ტიტე შოშიაშვილმა და მისმა თანაშემწემ ნ. წიწვაძემ.

მთელ მაზრაში დიდი თოვლი მოვიდა, რასაც მოჰყვა არაჩვეულებრივი დიდი მეტად მძიმე ყინვები—მდინარეები გაიყინა, წისქვილები დადგა. ყინვა 16 გრადუსამდე ავიდა.

მეცხვარე.

გურია. აკაკი ჩხენკელის მოხსენების შემდეგ გურიის ერობის თავმჯდომარემ ს. ჭინჭარაძემ ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენელს ოლივერ უორდროპს თფილისში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მთელი გურია, რომელის ჩამოვლა და საქართველოს მდგომარეობის შესახებ მოხსენების გაკეთება ეხლა დაამთავრა დამფუძ. კრების წევრმა აკაკი ჩხენკელმა, გულწრფელ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს, იმ დამოუკიდებლობის გამო, რომელიც მოიპოვა საქართველომ თქვენის დახმარებით. საქართველო ზეიმობს დამოუკიდებლობას, მაგრამ ამ ზეიმს ჩრდილავს ის გარემოება, რომ გურიის მოსაზღვრე ბათუმის ოლქი ჯერ კიდევ არ არის მისი ბუნებრივი პატრონის საქართველოს მთავრობის ხელში. მთელი გურია მოუთმენლად ელოდება იმ წამს, როცა მისი საზღვრები ბათუმის ოლქთან გაიშლება და საქართველო გაერთიანდება. გურიის ხალხი ღრმადაა დარწმუნებული, რომ თქვენის საშუალებით დიდი ბრიტანეთი და ბრიტანეთის საშუალებით მოკავშირეთა სახელმწიფონი ამ საკითხის გადაჭრაშიაც დაადგებიან ბრძნულ ნაცად გზას სამართლიანობის დაცვისა: ხანგრძლივი იყოს თქვენი სიცოცხლე დიდი ბრიტანეთის სასახელოთ და პატარა საქართველოს საკეთილდღეოთ.

წერ. რედაქციის მიმართ

ღია წერილი ბ. პ. მელაძეს.

„ერთობის“ მეოთხე ნომერში ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე გიწვევ სამედიატორო სასამართლოში. მედიატორებათ ვასახელებ: 1) აკაკი ნიკოლოზის ძე ცხვედაძეს, 2) ვასილ [illegible]. საქმე უნდა გაირჩეს [illegible] მტყუანმა მხარემ გადაიხადოს ქუთაისის რკინის გზის სასწავლებლის სასარგებლოთ 2000 მანეთი. განაჩენი გამოქვეყნდეს „ერთობა“ში. ვადას გაძლევთ ათ დღეს, დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ თავისუფალ მოქმედების უფლებას. თომა ჩხეტია.

მისამართი: სადგ. ქუთაისი, რკინის გზის კოოპერატივის გამგეს თომა ჩხეტიას.

— —

„ერთობაში“ (№ 31) მოთავსებული იყო თითქოს ანანურში მომხდარი ყაჩაღთა დაცემის დროს ყაჩაღებს გვერტაცენიათ, ეს ცნობა სიმართლეს არ შეიცავს. არავითარ მოტაცებას ადგილი არ ჰქონია. თამარა ანდრეევსკაია.

განცხადებანი

სახლი
იყიდება
ჩერქეზიშვილის—ერისთავის ქ. № 14.
იკითხეთ პატრონი საღამოს 5—6 ს.
(526—1—1)

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების: ჰაერების და ნერვულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელის, ქლების ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფოლიდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

ექიმი
ვ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის ფოსტის ახლო. (249)

ექიმი დ. მ. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662)

ექიმი დ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 31 ავჭალის ელექტრიკის ახლო.

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთ 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—29. (154—თ.)

დოქტორი მედიცინის ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ვ. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ქლექის აპირაციო-პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი
ნ. ლ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, სქესობით და ქალთა ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღე. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო საავადმყოფო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) დაარსდ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606“ და „914“ 11—12 საათ.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. [illegible] და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამბარცუმი—10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშვო ავად. ელექტრ.
მ. მ. ავეტიანცი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
[illegible]-ბებურიშვილი—12—1 საათ ([illegible]). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბორძუკოვსკაია—12—1 საათ (სამშ. [illegible]).
[illegible]—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღებულობს ღარიბებს უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ძმ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინემატოგრაფ „აპოლო“-ს გვერდით). ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები.
(თ. 218)

ექიმი ვ. მ. [illegible]
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოთ 4—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ხანოვის (მიხეილოვის) პროსპექტი კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87.
(114—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოზმანოვის ქუჩა № 26. (თ. 3065)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, გულის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 საათ. ს. მისამართი: მოლოგოვის ქუჩა № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ (ტელეფონი 16—65.) (თ. 3163)

თვალის ექიმი
ს. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. ოზმანოვის ქუჩა № 11. მიხეილის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3321)

ექიმი ვ. ბ. ხარაძე
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.